საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნინო ფუტკარაძე

ქართველი პარტიზანები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ მოძრაობაში 1942-1945 წლებში

(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი)

მეცნიერ ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი სულხან ალექსაია

ხიჭაური
2019

ანოტაცია

წარმოდგწნილ ნაშრომში საუბარია მეორე მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველი პარტიზანების როლზე ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ მოძრაობაში (1942-1945 წლებში). ნაშრომიდან ირკვევა, რომ უდიდესი დამსახურება მიუძღვით მათ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნაშრომში ცალ-ცალკეა საუბარი ქართველ პარტიზანთა ბრძოლებზე და ზოგადად მათ როლზე იტალიაში, საფრანგრთში, ბალკანეთში, პოლონეთსა და ჰოლანდიაში მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სარჩევი:

შესავალი

თავი I. ქართველი პარტიზანები იტალიაში

თავი II. ქართველი პარტიზანები საფრანგეთში

თავი III. ქართველი პარტიზანები ბალკანეთში

თავი IV. ქართველი პარტიზანები პოლონეთში

თავი V. ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 1945 წლამდე გაგრძელდა. იგი იმ წინააღმდეგობებზე აღმოცენდა, რომელიც I-მა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) დატოვა. I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობები იმით დამთავრდა, რომ 30-იანი წლების შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდა გერმანია-იტალია-იაპონიის სამხედრო პოლიტიკური კავშირი. ასეთ ვითარებაში, 1939 წელს, უშედეგოდ დამთავრდა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის ცდა. ევროპაში ანტიგერმანული კოალიციის შექმნის მცდელობის ჩაშლის შემდეგ გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ერთმანეთთან მორიგება არჩიეს. 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტს 10 წლის ვადით. პაქტის ძალით გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა გავლენის სფეროები გადაინაწილეს. ანტიგერმანული კოალიციის ჩაშლამ და საბჭოთა კავშირთან დადებულმა თავდაუსხმელობის პაქტმა ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანიას. აგრესიული გეგმების განხორციელებაში შეუზღუდავი რჩებოდა საბჭოთა კავშირიც.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს მოკავშირეზე თავდასხმის საპასუხოდ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ასე დაიწყო II მსოფლიო ომი. გერმანიას პოლონეთის დაპყრობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა, როცა 1939 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირმა პოლონეთის აღმოსავლეთი ოლქების (დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის) ოკუპაცია მოახდინა. საბჭოთა კავშირის მხრიდან ნეიტრალიტეტის პირობებში 1940 წელს გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, თუმც ვერ მოახერხა ინგლისის დამარცხება. თავის აგრესიულ

მისწრაფებას ახორციელებდა საბჭოთა კავშირიც, რომელმაც 1940 წელს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები დაიპყრო. გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმება მტკიცე და ხაგრძლივი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ინგლისთან ომში ადოლფ ჰიტლერმა იოსებ სტალინისაგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღო და 1940 წლის დასასრულისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაც დაიძაბა. ჰიტლერმა გადაწყვიტა ინგლისთან ომში გამარჯვებამდე დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი. სტალინს შექმნილ სიტუაციაში იმის იმედი ჰქონდა, რომ აშშ-თან დაპირისპირებული იაპონია 1940 წელს საბჭოთა კავშირისათვის დაპირებულ ნეიტრალიტეტს არ დაარღვევდა და საბჭოთა კავშირს ორ ფრონტზე (გერმანიასთან და იაპონიასთან) ომმი არ მოუხდებოდა.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ეს ომი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამამულო ომად გამოაცხადა. საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ ომი სამამულო იყო არა მარტო რუსი ერისათვის, არამედ რუსეთის მიერ დაპყრობილი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალით გაერთიანებული ერების, მათ შორის ქართველებისათვისაც.

1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე წარმოებულ ბრძოლებში გერმანიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. დაიპყრო ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ოლქები. გერმანელები მიუახლოვდნენ მოსკოვსა და ლენინგრადს. ომის დაწყებიდან მალე, 1941 წლის 30 ივნისს, შეიქმნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში გადავიდა მთელი სახელმწიფო ხელისუფლება.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოში, მოსკოვის დირექტივების თანახმად, დაიწყო სამხედრო-სამობილიზაციო ღონისძიებების გატარება. ომის დაწყებიდან სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში ფრონტზე გაიგზავნა დაახლოებით 100 000 ადამიანი, მათ შორის რამდენიმე ათასი ქალი. 1942 წლის

გაზაფხულისათვის კი საქართველოდან ფრონტზე მობილიზებული იყო 350 000-ზე მეტი ადამიანი. ფრონტზე გაწვევა ჩვენი ქვეყნიდან არც ომის შემდგომ ეტაპზე შეწყვეტილა.

ომის პირველსავე თვეებში საქართველოში საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან, რომელთაც ოკუპაციის საფრთხე ემუქრებოდათ, ათასობით ლტოლვილი საქართველოში გადმოიყვანეს. ძალზე გაძნელდა ჩამოსულთა ბინით, სამუშაო ადგილითა და სურსათით უზრუნველყოფა. სოფლის მოსახლეობა თითქმის შიმშილობდა. ქალაქადაც და სოფლადაც გაჩნდა დიდი დეფიციტი პირველადი მოხმარების საგნებზე.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა უკვე პირველივე თვეებიდანვე ძალზე დაამძიმა ეკონომიკური და სოციალური ვითარება საქართველოში.

თემის აქტუალობა - ბოლო პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ თითქოს მეორე მსოფლიო ომში ქართველები იძულებით იბრძოდნენ და ეს არ იყო მათი ომი. ვფიქრობთ, ეს არ არის სწორი შეფასება, რადგან ქართველები იბრძოდნენ იმ ძალის („ფაშიზმის“) წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს დანგრევით ემუქრებოდა. ჩვენი გმირები, ქართველი პარტიზანები სათანადო დაფასების ღირსნი არიან.

კვლევის მიზნები და ამოცანები – სამაგისტრო ნაშრომის მიზანია თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების ობიექტური ანალიზი. რაც მოგვცემს საფუძველს ავხსნათ მეორე მსოფლიო ომში ქართველ პარტიზანთა დამსახურება ევროპაში არსებულ ანტიფაშისტურ მოძრაობაში.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები - ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება, როგორიცაა ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და სხვ.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისა და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მასალები, ინტერნეტრესურსები.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – ქართველი პარტიზანები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ მოძრაობაში 1942-1945 წლებში - შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. ქართველი პარტიზანები იტალიაში

მეორე მსოფლიო ომი არის მოვლენა რომელსაც არ ჩაუვლია უსისხლოდ, უცრემლოდ და უგმიროდ. უამრავი ადამიანი შეეწირა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას. ბევრმა მათგანმა სასახელო და სამაგალითო ფურცლები ჩაწერეს მსოფლიო ისტორიაში, უკვდავი სახელი და დიდება დაუტოვეს შთამომავლობას. გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ლომის წილი მიუძღვით პარტიზანებს რომელთა რიგებში ქართველებიც ერთიანდებოდნენ. ქართველი მებრძოლეები სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პარტიზანთა შენაერთბებში ირიცხებოდნენ მამაცურად იბრძოდნენ და გმირულად იღუპებოდნენ ბრძოლის ველზე.

ბევრი ისტორიკოსი, მწერალი და ჟურნალისტი დაინტერესდა ქართველ პარტიზანთა საგმირო ბრძოლებითა და მათი ცხოვრებით. არაერთი მეცნიერული ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული (ქართულ, თუ უცხო ენებზე) პარტიზანთა საბრძოლო ოპერაციებზე, მათ ცხოვრებაზე და იმ გზებზე რომელიც მათ განვლეს გერმანელთა ტყვეობაში.

ქართველები, როგორც სამხედრო ტყვეები იტალიაში პირველად მოხვდნენ 1943 წელს. ხოლო მათი გადასვლა პარტიზანთა რიგებში მოგვიანებით მოხდა. დღემდე დაუდგენელია ზუსტი ცნობები იმის შესახებ თუ რამდენი ქართველი იბრძოდა იტალიელების მხარდამხარ. ვინაიდან პარტიზანთა სარდლობა კატეგორიულად კრძალავდა რაიმე სახის ცნობების გაფორმებას თავდაცვის მიზნით.

გერმანელებმა თავდაპირველად ქართველებზე ხმები გაავრცელეს კაციჭამიები არიანო. მათი მიზანი იყო ხელი შეეშალათ ქართველი და იტალიელი ხალხის დაახლოებისათვის ვინაიდან იცნობდნენ ქართველებს და იცოდნენ მათი სიმამაცე და ბძოლისუნარიანობა. თუმცა მათი ჩანაფიქრი არ გამართლდა იტალიელებმა მალე მიხვდნენ რომ ეს მონაჭორი გერმანელების გეგმის ნაწილი იყო.

სწორედაც იტალიელი ხალხის დახმარებით დაუკავშირდნენ ქართველი ტყვეები იტალიელ პარტიზანებს და ეტაპობრივად დაიწყეს გადასვლა მათ რიგებში. თუმცა მათი გადასვლა პარტიზანთა რიგებში ჩვეულებრივად არ ხდებოდა. არსებობდა სპეციალური ტყვეთა დახმარების საიდუმლო ორგანიზაცია „მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების დახმარების სამსახური“, რომელიც გარკვეული სახის მატერიალურ დახმარებას უწევდა ტყვეებს და შემდეგ გადაჰყავდათ პარტიზანთა რიგებში. ქართველებმა პარტიზანებთან გადასვლისთანავე გამოამჟღავნეს მათი თვისებები რის გამოც უდიდესი პატივისცემა და ნდობა დაიმსახურეს, იმდენად დიდი იყო მათ მიმართ ნდობა რომ ყველაზე საპასუხისმგებლო საბრძოლო ოპერაციებზე ქარველებს გზავნიდნენ. ქართველ პარტიზანების შესახებ ერთ იტალიურ დოკუმენტში ნათქვამია: ,,ყოფილ სამხედრო ტყვეთა შორის, რომლებიც ნაცისტების მიერ გაუგონარი სიმკაცრით სასიკვდილოდ იყვენენ განწირულნი, ქართველებს ყველაზე მეტად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი მოვალეობა. მჩაგვრელთა წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლაში და ამ მხრივ სათანადო სიმაღლეზე იდგნენ. Mმართლაც ქართველთა უმრავლესობა, რომელსაც კარგად ეჭირა თავი მასობრივად გამოვიდა პარტიზანთა რიგებში. რაც მსხვერპლის სიხლისა და თავგანწირვის დიდ ფასად დაუჯდათ” (**სურგულაძე, 1995: 26).**

ქართველები, რომ განსაკუთრებული თვისებებით იყვნენ გამორჩეული ეს არავის უყურადღებოდ არ რჩებოდ. აი, რას წერს, 51-ე ბრიგადის „კაპეტინის“ კომისარი ბიანკა ჩევა, ქართველი პარტიზანების შესახებ:

,,შესანისნავი ჯარისკაცებია, რომლებსაც არასოდეს არ გადაუხვევიათ და არც გადაუხვევენ ბრძანებას. ისინი მაღლებია და ძლიერები გამოირჩევიან მხედრული წრთობით, რომელიც არცერთ ჩვენგანს არ გააჩნია. ყოველთვის მშვიდად დგანან და წესრიგით ელოდებიან საკვებს. სხვები, კი, ხმაურით იტაცებენ. დღეს 1944 წლის 12 დეკემბერს ისინი დარჩნენ სადილის გარეშე, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამთ" **(სურგულაძე, 1995: 31).**

ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ქართველი იბრძოდა პარტიზანთა რიგებში არ მოგვეპოება. რუსი მკლევარი მ. სემირიაგა მიუთითებს 2000-ზე მეტ საბჭოთა ადამიანს **(სურგულაძე, 1995 27).** Mმართალია ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია, თუმცა ჩვენ შეგვიძლია მიახლობით ავღნიშნოთ ცალკეულ რაიონებში მოქმედ პარტიზანთა რაზმში მისული ქართველთა რიცხვი. მაგალითად, ,,ნეო ოლივერის" მე-6 გარიბალდიულ ბრიგადას 1944 წლის 19 ივლისს შეუერთდა 85 ქართველი „რემო სერვადეის"118-ე ბრიგადას „პეპინოს" ბატალიონში 8 სექტემბერს გადავიდა 37 ქართელი „რედის" ბატალიონს ვარცოს აღბის შემდეგ შეუერთდა კიდევ 85 ქართველი. მ გალენის (მაურო გალენი იტალიელი მკვლევარი)ცნობით 53-ე გარიბალდიულ ბრიგადაში 1944 წელს იბრძოდა ოთხი საბჭოთა მეომარი: კარლო, მიშელი, მიშა და შალიკო (სამწუხაროდ გვარები არ არის მითითებული). ასევე 1944 წელს 5 აგვისტოს ,,პლინიოს" ხიდთან ბრძოლაში იტალიელებთან ერთად იბრძოდნენ ქართველებიც მიუთითებს მხოლოდ სახელებს, შოთა, დავითი და ელიზბარი და სხვ.

Gგარდა ქართველებისა იტალიაში იბრძოდნენ საქართვლოს მკვიდრი სხვა ეროვნების ადამიანები. გალენი (იტალიელი მკლევარი) საუბრობს თბილისელ ნიკოლოზ ბორონოვის შესახებ: ,,მას აწუხებდა სინდრომი, რომ არ დაეცა ბრძოლით მშობლიურ მიწაზე". როცა მას შესთავაზეს საბჭოთა პარტიზანების მეთაურობა ,,ამან ღრმად ააღელვა მისი ახალგაზრდული თვალები, რომელსაც აჩნდა სიმკაცრის ნიშნები ტყვეობაში გადატანილის გამო, დანამეს ცრემლებმა. მადლბელი ვარ თქვენი, თქვა მან ნდობისთვის, რომელიც მე

აღმომიჩინეთ. მაგრამ, თქვენი წინადადების მიღება არ შემიძლია, ეს არ დამიმსახურებია. საბჭოთა ოფიცერი არუნდა ჩავარდეს ტყვედ გერმანელებთან, ის ადგილძე უნდა დაიღუპოს არა, ამხანაგებო? მშიშარა ადგილზე უნდა დაიღუპოს" (**სურგულაძე, 1995: 31**). 1945 წელს, იგი, გერმანელებმა დაატყვევეს და დახვრიტეს.

იტალიაში მყოფი ქართველი პარტიზანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი. ისტორიკოსი პაპაკირი წერს: „1944 წლის 3 დეკემბრის გამთენიისას სოფელ კოლონიას ბოლოს, მწყემსების ქოხში ღამის გასათევად შეფარებული პარტიზანული ქვედანაყოფი ,,არმანდო" ,,რაიხსფიურერ"-ის სამასკაციანი დაჯგუფების ალყაში აღმოჩნდა.

პარტიზანულ ქვედანაყოფ ,,არმანდოში" მყოფი ჩვიდმეტი პარტიზანიდან შვიდი ქართველი იყო - ფორე მოსულიშვილი, მიხეილ საყვარელიძე, ბაგრატ ესართია, შალვა კვირიკაშვილი, შოთა ბექაია, ვლადიმერ ჭეჟია, ზაქარია თომაშვილი.

გააფთრებულ შეტაკებაში ბევრი გერმანელი დაიღუპა. მაგრამ, ფორე და კიდევ ორი კაცი დაიჭრა. ვაზნებიც შემოელიათ... ფაშისტები მეთაურის დანებებას მოითხოვდნენ. დანარჩენებს, კი, სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებოდნენ... შემდეგში, მარიო ძინონი იხსენებს: - ,,ერთმანეთს გადავხედეთ, ვერც რაზმის მეთაური ედო დელ გრატა და ვერცერთი ჩვენთაგანი ადგილიდან დაძვრას ვერ ვბედავდით. გერმანელებთან გასვლა წამებით სიკვდილს ნიშნავდა. როცა ჩვენს დახოცვამდე, ალბათ, წამები იყო დარჩენილი, სისხლით შეღებილი ფორე მოსულიშვილი კართან მივიდა. გამოაღო და გერმანელებს შესძახა: ,,მეთაური მე ვარ, თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნია! გაუმარჯოს პარტიზანებს! გაუმარჯოს თავისუფლებას!" და იქვე თავი მოიკლა. მისმა თავგანწირვამ თექვსმეტ კაცს შეგვინარჩუნა სიცოცხლე..." (**პაპაკირი, 2017**).

ე. გასტონე ფორე მოსულიშვილზე წერს: ,,მძიმე პარტიზანული ბრძოლების დროს ამ უდრეკმა მამაცმა მებრძოლმა გამოიჩინა შეუპოვრობა და თავდადება, რომელიც ყოველგვარ ქებას იმსახურებს. პირველმა პირველთა შორის, პატიოსანმა პატიოსანთა

შორის, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი ჯარისკაცებსა და პარტიზანებს დიდებული მაგალითი გვიჩვენა. იგი ბოლომდე საკუთარი სიტყვის ერთგული დარჩა არასოდეს დანებებოდა ცოცხლად მტერს. ფორე მოსულიშვილმა თავი შესწირა ჩვენს გამარჯვების საერთო საქმეს. მისი უკანასკნელი შეძახილი იყო ,,გაუმარჯოს პარტიზანებს" გაუმარჯოს თავისუფლებას" (**სურგულაძე, 1995: 37).**

იგი 1970 წლის 28 თებერვალს დააჯილდოეს ოქროს მედლით, „მხედრული მამაცობისათვის".

აღსანიშნავია აგრეთვე იტალიაში, „რემო სერვადეის" ბრიგადაში მონაწილე ქართველთა სიმამაცე და ბრძოლისუნარიანობა. რომლებიც, თავს არ ზოგავდნენ მტრის წინააღმდეგ. სწორედ „რემო სერვანდეის" ბრიგადაში მებრძოლმა ქართველებმა ისახელეს თავი და აიღეს ვანდა ისოლა და დომოდოსოლა. ორი დღე ებრძოლეს გრაველონას გარნიზონს და დაატყვევეს 14 კაცი. 16-ზე მეტი იერიში განახორციელე ორგოსეზიაზე. დანაღმეს პიეტას და ვინიალესთან მდებარე რკინიგზის ხიდები. დაიკავეს ლოპატე პეცილოს აეროდრომი. თავს დაესხნენ მდინარე პოლინოს ხიდთან მდებარე გერმანელებს და დიდი ზიანი მიაყენეს მათ. გერმანელთა ფარი-რომანიანოს გარნიზონის 200-მდე მებრძოლი დაატყვევეს და იარაღის მთელი მარაგი ჩაიგდეს ხელში (**სურგულაძე, 1995: 42).**

ქართველებს იტალიელ პარტიზანთა შორის განსაკუთრებული ადგილი, რომ ეკავათ ეს ცხადია. ქართველთა ბრძოლისუნარიანობა, თავგანწირვა, სიმამცე და ერთგულება იტალიაში ბევრისთვის მაგალითი გახდა. ბენიტო მუსოლინისათვის ქართველთა სიმამაცე შიშის მომტანი აღმოჩნდა. ორი უდიდესი პიროვნება შალვა კვასხვაძე და კოტე ლეჟავა გახდნე სწორედ ბენიტო მუსოლინის შიშის მიზეზი. იმდენად დიდი იყო ბრძოლისEჟინი, გამარჯვების სურვილი, ამ ორ ადამიანში, რომ თითქმის არაფერს უშინდებოდნენ მუსოლინმა მათ შესაპყრობად სპეციალური ჯილდოც კი დააწესა.

1944 წელს 3 ივლისს 120 ქართველი გაიქცა ტყვეთა ბანაკიდან. სწორედ ამ ტყვეებისაგან ჩამოყალიბდა რაზმი, რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ კოტე ლეჟავა.

აღნიშნულმა რაზმმა გაითქვა სახელი წარმატებული საბრძოლო ოპერაციებით. მათით დაინტერესდა ჩინო მოსკატელი (იტალიის ეროვნული გმირი), რომელმაც პირადად მოინახულა ისინი მოიხიბლა მათი დისციპლინითა და შემართებით. შესთავაზა მათ გარიბალდიელთა რიგებში გადასვლა, რაზეც თანხმობა მიიღო. ქართული რაზმი მას შემდეგ შევიდა მეორე გარიბარდიული დივიზიის „როკოს“ 10-ე ბრიგადის შემადგენლობაში.

კოტე ლუჟავას კომიბრონეს ანუ ჯავშნიანს უწოდებდნენ. ამის მიზეზი, კი, გახლდათ შემდეგი: ქართულ ბატალიონს 1944 წელს დივიზიის ხელმძღვანელობამ დაავალა ყველაზე მსხვილი დასახლებული პუნქტის ბორგომანეროს აღება. სწორედ, აქ მოხდა საინტერესო შემთხვევა, როცა კოტე პირდაპირ შეეჯახა გერმანელ ჯარისკაცს, რომელმაც ცეცხლი გაუხსნა. გასროლილი ტყვია მოხვდა ბინოკლს, რომელიც კოტეს კისერზე ჰქონდა ჩამოკიდერბული. ტყვია აისხლიტა და მხარში დაიჭრა. ამის შემდეგ მას კომიბრონე ანუ ჯავშნიანი შეარქვეს. რათქმა უნდა ეს პუნქტი იმდროისათვის მთლიანად დაიკავეს ქართვრლმა პარტიზანებმა. თუმცა გერმანელები მას ასე ადვილად არ დასთმობდნენ, ვინაიდან ეს საფრთხეს უქმნიდა მილან-ტურინის ავტოსტრადის უშიშროებას. ამიტომაც კვლავ განახორციელს შეტევები.

ქართველ პარტიზანთა გმირობა, არა ერთხელ აღნიშნეს იტალიელ პარტიზანთა შენაერთების მეთაურებმა თავიანთ ჩანაწერებში. მაგალითად, კოტე ლეჟავას, ვლადიმერ ჯავახიშვილის, შალვა (კვასხვაძის) მათიაშვილის, ჩქარეულის, ხიზანიშვილისა და ვლადიმერ ჭიჭინაძის შესახებ ჩრდილოეთ იტალიის პარტიზანთა დივიზიის კომისარი პიპო და მეთაური იზო წერენ:

.,,..1944 წლის 3 ივლისს 90 ქართველი გაიქცა ბაჩენოს ტყვეტა ბანაკიდან თან გაიტაცეს 12 ფაშისტი მათ შორის ორი გერმანელი და ერთი იტალიელი მაიორი და მთებისკენ გაუდგნენ გზას. გაქცევის გეგმა შეიმუშავა კოტე ლეჟავამ“ (**შურღაია, 1971: 115).**

საინტერესოა ის ფაქტი რომ სწორედ კოტე ლეჟავასა და მის თანამებრძოლეებს მიაწერენ ბენიტო მუსოლინის შეპრყობას. თუმცა ეს მოსაზრება ვარაუდის დონეზეა და მეცნიერული თვალსაზრისითა არ არის დადასტურებული.

Aაი რას წერს ჩინო მოსკატელი ქართველი მებრძოლეების და ზოგადად ქართული ბატალიონის შესახებ: ,,ქართულმა ბატალიონმა განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი ბრძოლაში და ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. გარიბალდის დროშა ყუმბარის ნამსხვრევებითა და ავტომატის ჯერებით დაფლეთილი წითელი ტილო, ზედ გამოხატული ხუთქიმიანი ვარსვკვლავით, მაღლა აღმართული მოჰქონდათ წითელი არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებსაც იტალიის შორეულ მთებსა და ხეობებში წმინდათ ახსოვდათ მხედრული ფიცი" (**სურგულაძე, 1995: 50**).

კომისრის მიერ ხელმოწერილ ერთ საბუთში ნათქვამია: ,,1943 წლის 3 ივლისს 90 ქართველმა იარაღი აღმართა ბაჩენოში მყოფ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ისინი მონაწილებდნენ დომოდოსოლას განთავისუფლებაში. ოქტომბრის პირველ დეკადაში დომოდოსოლა და მისი მიდამოები გააფრთრებული ბრძოლების შემდეგ, უკან დაიბრუნეს ფაშისტებმა. ამ ბრძოლაში მრავალი პარტიზანი დაიღუპა გმირულად. ქართველები შემდეგ მონაწილეობდნენ ბევრ ბრძოლაში ჩასაფრებებსა და საბოტაჟის აქტში, ისინი ღირსეულად და თავდადებით ემსახურებოდნენ თავისუფლების საქმეს და ზოგიერთმა სახელოვნად შესწირა სიცოცხლე კეთილშობილურ საქმეს" (**სურგულაძე, 1995: 51**).

1944 წლის 1 მაისს 40 ტყვე გაიქცა გერმანელებისაგან, მათ შორის 22 ქართველი 3 მაისს კიდევ 12 ტყვე საბოლაო ჯამში იმ დროისათვის პარტიზანთა რიგებში 120 თანამემამულე გადავიდა, რომლებიც შეუერთდნენ „ამადეო ტონანის" მესამე გარიბალდიული დივიზიის „ფელიქს ჩიმას" მე -17 ბრიგადას. ქართველთა ჯგუფის მეთაური გახლდათ ნოე გიორგის ძე კუბლაშვილი. ქართველებმა, როგორც ყოველთვის აქაც არ უღალატეს თავიანთა პრინციპებს. ამიტომაც დაიმსახურეს იტალიელთა პატივისცემა და სიყვარული. იმ პერიოდისათვის „ჩიმას" ბრიგადას ევალებოდა სუზას დაბლობში მოქმედება, რომელიც

პიემონტის დასავლეთით რუბიენას ზონაში მდებარეობდა. ქართველები, კი, ამ ზონის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში განალაგეს.

იტალიური მასალებიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი იყო აქტიურობა ქართველებისა. 7 მაისს ქართულმა რაზმმა, ალესიო მაფიოდას ხელმძღვანელობით, ააფეთქა დინამიტის ქარხანა. იგი დაბა ავილიანოს მახლობლად მდებარეობდა. შემდეგ შეიჭრნენ დაბაში და გაიტაცეს სურსათით დატვირთული მანქანა და 14 ჩეხი ლეგიონერი. ასევე გაანთავისუფლერს 80- მდე ჩეხი ლეგიონერი რითაც კიდევ უფრო გაიზარდა პარტიზანთა რიცხვი.

თუმცა ამ რაზმის ყველაზე დიდი დრძოლად ითვლება 2 ივლისს გადახდილი ბრძოლა ფაველას მახლობლად სადაც 6 ქართველი პარტიზანი გმირულად დაიღუპა. ისინი იბრძოდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ესენი იყვნენ: შოთა ნამიჭეიშვილი, გიორგი პაპოშვილი, გიორგი გოგოლიშვილი, ფირუზ ბაღაღოშვილი ამ უკანასკნელმა თავი მოიკლა, ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და ბოლოს ბოჩია აკობია.

ქართველ პარტიზანებს გერმანელი ფაშისტები მუხანათური გზებით ახერხებდნენ. ქართველ პარტიზანებთან (გადაცმული) ორი პარტიზანი მივიდა და იტალიურად დაიძახა: ,,აქეთ ამოდით ჩვენთან კომბეტას მთისკენ წავიდეთო". ქართველები ღალატს არ მოელოდნენ და დაუჯერეს. საბოლოოდ ხაფაგში აღმოჩნდნენ გამბულნი. ფაშისტებმა ისინი სიცოცხლეს გამოასალმეს (**შურღაია,1971: 89-90).**

1944 წლის 18 აგვისტოს ქართველებმა მონაწილეობა მიიღეს ტურინის გარეუბანში მდებარე საავიაციო ქარხანაზე თავდასხმაში. ეს საწარმო გახლდათ ფირმა „ფიატი", რომელიც იმ დროისათვის გერმანელებისათვის იყო უმნიშვნელოვანესი. ვინაიდან აღნიშნული საწარმო გერმანელთა დაკვეთით აგებდა ბომბდამშენებს და ავიაგამანდგურებლებს.

პარტიზანები ამის შემდეგ თავს დაესხნენ სამხედრო აეროდრომს, რომელიც ააფეთქეს. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ: გრიგოლ ტუსიაშვილი, ვასილ ურუშაძე, გრიგოლ

ბექაური, გული გიგიბერია, სერგო სიხარულიძე და სხვები. ამ მებრძოლების დავალებას წარმოადგენდა დაცვის განიარაღება, რომელიც წარმატებით შეასრულეს. „პარტიზანებმა გაანადგურეს მტრის 5 თვითმფრინავი, 25 ავტომატი დიდი რაოდენობით ვაზნები და ხელყუმბარები.” სარდლობამ თითოეულ მებრძოლს მადლობა გადაუხადა.

გერმანელთა წინააღმდეგ მიღწეული წარმატება აისახა აგრეთვე სარდლობის ოფიციალურ დოკუმენტებში. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველთა დახასიათება. პარტიზან ნოე კუბლაშვილის შესახებ ვკითხულობთ, იგი ,,ხელმძღვანელობდა პარტიზანთა რამოდენიმე ჯგუფს. მის მრავალრიცხოვან ბრძოლათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავდასხმები აეროდრომზე, და ქალაქების რივოლის, ლანცოს და ტურინის ასაღებად. Aმის გარდა მან იკისრა ინიციატივა გადაელახა საზღვარი და მოლაპარაკება გაემართა ჩვენს მოკავშირეებთან საფრანგეთში. საერთო საქმისადმი მისი თავდადების გამო კუბლაშვილს ყველა პატივს სცემა და უყვარდატ იტალიელ პატრიოტებს” (**სურგულაძე, 1995: 64).**

პარტიზან გიორგი ნასარიძის შესახებ ნათქვამია: ,,მონაწილეობდა ყველა რთულ ოპერაციებში ქალაქ ლანცოსთან რივოლთან და ტურინის აეროდრომთან. ნასარიძე ამჟღავნებდა მამაცობას და მაღალ დისციპლინას, თავისი ჯგუფის მებრძოლეებთან ერთად. მან აამაღლა ენთუზიაზმი ყველა ამხანაგში” (**სურგულაძე, 1995: 64-65).**

არანაკლეს საყურადღებო და საინტერესოა ქართველი პარტიზანისGგრიგოლ ტუსიასვილის დახასიათება. იგი ,,აწარმოებდა სისტემატიურ პარტიზანულ ბრძოლებს იტალიელ ფაშისტებსა და გერმანელთა შეიარაღებულ ძალების წინააღმდეგ. Mის დამსახურებათა შორის შეიძლება აღინიშნოს ქალაქ რივოლოს ყაზარმაზე თავდასხმა აგრეთვე ხელჩართული ბრძოლა ტურინის აეროდრომისათვის და ქალაქ ლანცოს გარნიზონის წინააღმდეგ” (**სურგულაძე, 1995 64-65).**

მსგავსი დახასიათება ქართველი მებრძოლეებისა უამრავი შეიზლება მოვიყვანოთ.

გარიბალდიულ ბატალიონის 42-ე ბრიგადაში მართალია ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. თუმცა განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის 25 ქართველი

პარტიზანი რომლებმაც დაუვიწყარი, წარუშლელი კვალი დატოვოვეს და შესანიშნავინფურცლები ჩაწერეს ბრიგადის მატიანეში. ამ რაზმს მეთაურობდა მარტვილელი ვლადიმერ არსენის ძე გაბისონია, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა. იყო არაჩვეულებრივი მებრძოლი, დისციპლინებული და ამავდროულად ძალიან მეგობრული.

„ვ. გაბისონიას რაზმი ყველა მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით თავი ისახელა ბუსოლენოსა და სტიმასტან. სადაც ტყვედ ჩაიგდო 180 ფაშისტი და დიდძალი სამხედრო ტექნიკა. ბრძოლაში თავი გამოჩინეს მიხეილ გამყრელიძემ, ალექსანდრე კუპრეიშვილმა, გიორგი პაპანაშვილმა და სხვ.“ (**სიხარულიძე, 1973 45-46).**

გარიბალდიელებს 1944 წლის 12 სექტემბერს დაევალათ ტურინის მიმართლებით მიმავალი ეშელონის განადგურება, ამ ოპერაციაში 7 ქართველი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ: მიხელ გამყრელიძე, ალექსანდრე კობახიძე, მირონ ზაზაძე, ნიკოლოზ რობაქიძე, საშა აბილოვი, ორი მებრძოლის გვარი სამწუხაროდ უცნობია. Pპარტიზანებმა ამ ოპერაციის დროს დახოცეს 10-მდე გერმანელი, მათ შორის იყო ვემახტის სატანკო დივიზიის გენერალი და პოლკოვნიკი.

ეს ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა, თუმცა მაინც გამოიჩინა თავი ქართველმა ალექსანდრე კობახიძემ, მან ელვისებურად სტყორცნა ხელყუმბარა რომელზეც 5 პლასტიკური ამაფეთქებელი იყო დამაგრებული.

1944 წელს „ალდოს“ ბატალიონს შეუერთდა კიდევ 49 ქართველი, რომლის მეთაურიც გახლდათ ნიკოლოზ ესართია. კომისარი იყო შავლა სიგუა. აღნიშნულმა რაზმმა განსაკუთრებული გამარჯვებები მოუტანა ბატალიონს.

1944 წლის 28 ოქტომბერს სოფელ ლაგრემოსთან, 21 ნოემბერს დესანოსთან, 1945 წლის 12 აპრილს სოფელ ჩიანოსთან ქართველებმა იტალიელ პარტიზანებთან ერთად ბრწყინვალე შედეგს მიაღწიეს გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულ

ბრძოლაში დაიღუპნენ: ნიკ. კოჭლამაზიშვილი, ნიკ. მიქელაშილი, ვასო ტაბატაძე, ნიკ. ჭინჭარაძე, ისაკ სვანიშვილი, სიმონ ზურაბიშვილი,

გარდა ამისა ქართველ მებრძოლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სარკინიგზო ომში. 1945 წლის 22 იანვარს ააფეთქეს ლანგერანოს ხიდი (ბოლონია მილანის სამხედრო გზაზე მდებარე დიდი ხიდი). იმავე წელს სოფელ სანტა მარიასა და გიგატოში ააფეთქეს ხიდი და დაატყვევეს 11 გერმანელი. პარმისათვის ბრძოლაში მძიმედ დაშავდა ვ. კოტრიკაძე, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ დაკარგა მხნეობა და მისი ბოლო სურვილი იყო, გადაეცათ საქართველოსთვის, რომ მან ,,ღირსეულად შეასრულა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე" (დაკრძალულია პარმის სასაფლაოზე).

„იტალიურ პრესის ფურცლებზე, პარტიზანულ მოძრაობისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან მასალებში დადსტურებულია რომ ქართველმა პარტიზანებმა თავიანთი ღირსეული წვლილი შიტანეს, ფაშისტური ოკუპანტებისაგან იტალიის განთავისუფლებაში" **(სიხარულიძე, 1973: 43).**

რაც შეეხება იტალიაში მოქმედ „რუსულ მობილურ ბატალიონს", რომელიც 1943 წელს სასუოლოს ტყვეთა ბანაკიდან გაქცეულ საბჭოთა ტყვეებისაგან შეიქმნა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ის ოცეული, რომელშიც შედიოდნენ ქართველები. მას, ემილიან გოცირიძე ხელმძღვანელობდა. გოცირიძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცით მისი გაბედული თავდასხმები შიშს გვრიდა მოწინააღმდეგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი საბრძოლო ოპერაცია 1944 წელს, როცა ისინი წააწყდნენ მტრის მსხვილ შენაერთს. ატყდა ორმხრივი სროლა, ერთმა მებრძოლმა თითქმის ღია პოზიციიდა გაუხსნა ცეცხლი მტერს. სამწუხაროდ, მალე დაეცა ბრძოლის ველზე. ის, მეორე მებრძოლმა ჩაანაცვლა. შემდეგ მესამემ და მეოთხემ. ისინი საქართველოდან იყვნენ და დღეისათვის მათი ნეშტი განისვენებს იტალიაში.

ქართველი პარტიზანთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე გიორგი გოგოლაშვილი და დავით მეტრეველი. ამ უკანასკნელს უდიდესი სიმამაცე გამოუჩენია დაბა პიანელოსთან ბრძოლაში.

ქართველ მებრძოლთა უდიდეს საქმედ შეიძლება ჩაითვალოს ,,საველე ლაზარეთის" მოწყობა. ეს იყო უდიდესი გმირობის, სიმამაცის, მზრუნველობისა და კეთილშობილების აღმნიშვნელი საქმე.

1944 წელს შემოდგომაზე ცალკეულ ბრიგადაში ჩამოყალიბდა საბჭოთა მოქალაქებისაგან შემდგარი დამოუკიდებელი სამხედრო შენაერთი. მალე ამავე დივიზიის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა სტალინის სახელობის ქართული ბატალიონი, აღნიშნული ბატალიონი გამოირჩეოდა პასუხისმგებლობითა და სიმამაცით.

ქართველთა შორის ბევრი იყო ისეთი პარტიზანი, რომელსაც ჰქონდა მიღებული სამედიცინო განათლება. სწრედ მათ დაავალა დივიზიის ხელმძღვანელობამ საველე ლაზარეთის მოწყობა. ეს რათქმაუნდა არ იყო ადვილი ვინაიდან მედიკამენტებით არავინ მოამარაგებდა. მიუხედავად სირთულეებისა, მათ მაინც შეძლეს ლაზარეთის მოწყობა, რომელიც ,,მაქსიმ გორკის" სახელობის იყო. ლაზარეთს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები: ქირურგიური, თერაპევტული, და ინფექციური. აგრეთვე ამბულატორია, აფთიაქი და სამზარეულო. სავადმყოფოს ემსახურებოდა ერთი ექიმი, სამი ფერშალი, ერთი ფარმაცევტი, რვა სანიტარი ორი მზარეული და ტრანპორტი...

სამედიცინო პერსონალი გარდა პარტიზანების და მოსახლეობის მკურნალობისა, ჩართული იყვნენ საბრძოლო ოპერაციებში და დიდი წარმატებითაც გამოირჩეოდნენ. შეგვიძლია დავასახელოთ ქალაქ ჯემონას ცენტრალურ ბანაკზე თავდასხმა. ბანაკს კარგად შეიარაღებული პოლიციელები იცავდნენ. ქართველებმა ყოველგვარი დანაკარგის გარეშე მოხსნეს დაცვა და ბანაკიდან დიდძალი ქონებაც გაიტანეს. გარდა ამისა ქალაქ ჯემონას სადგურში ააფეთქეს ბენზინისა და ზეთის ცისტერნებით დატვირთული ეშელონიც.

„გიორგი ვარაზაშვილს იტალიელმა პარტიზანებმა პარტიზანული სახელი ,,მონტი" დაარქვეს და რაკი დიდად გაბედული და საზრიანი მეომარი იყო, მალე ,,კაპიტან მონტის" სახელითაც მონათლეს.

1945 წლის თებერვალში ქართველმა პარტიზანებმა შენიშნეს ფაშისტები. ისინი ბევრნი იყვნენ და შებრძოლებას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ მტერს განერიდნენ. რიფრონტოლის გორაზე გაიმართა ბრძოლა - მამაცმა პარტიზანებმა მეგობრების გაცემას სიცოცხლის გაწირვა ამჯობინეს. თითო ხელყუმბარა მტერს ესროლეს, მეორე კი მკერდზე აიფეთქეს.

1971 წლის 25 იანვარს იტალიის პრეზიდენტის, ჯუზეპე სარაგატის–ხელმოწერილი დეკრეტით გიორგი ვარაზაშვილს, კაპიტან მონტის მიენიჭა ბრინჯაოს მედალი ,,მხედრული მამაცობისათვის“ (**ხუბულური–ტატიშვილი, 1979).**

ქართველი პარტიზანის საფლავის ქვას ამშვენებს წარწერა ,,გამვლელო შეჩერდი, აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც სისხლი დაღვარა შენი განთავისუფლებისათვის. მან შენ თავისუფალი იტალია გაჩუქა. კაპიტანი მონტი ვარაზაშვილი“ (**სიხარულიძე, 1973: 50).**

იტალიაში არსებობდა აგრეთვე „ტელა როსას“ პარტიზანულ რაზმში, რომელშიც იბრძლოდნენ ქართველებიც. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პიანდალბეროს ბრძოლაში. 1944 წელს დაიჭრა ბევრი პარტიზანი, მათ შორის სურენ კირაკოზიანი, რომელიც თბილისელი გახლდათ. ავლაბრის სახალხო თეატრის ცნობილი სცენისმოყვარის შაქრო ნავთლუღელის (სარქის კირაკოზიანი) შვილი. იგი თავს ქართველად თვლიდა და ამიტომ იყო, რომ მძიმედ დაჭრილს ქართველებმა უპატრონეს.

Bბრიგადის მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციად ითვლება ქალაქ ფლორენციის ფაშისტებისაგან გაწმენდა (1944 წლის 11 აგვისტო). იტალიაში მყოფი ქართველი პარტიზანი რუბენ ხოფერია იგონებს ,,ფეხდაფეხ მივსდევდით უკანდახეულ გერმანელებს და არ ვაძლევდით შეჩერების საშუალებას.” რუბენ ხოფერიას დახასიათებაში ვკითხულობთ ,,კარგი და დისციპლინებული მებრძოლი ყველასათვის სამაგალითო, რომელიც დავალებულ

ამოცანებს ასრულებდა მაღალხარისხოვნად. იგი მონაწილეობდა ჩვენს მძიმე ბრძოლაში და მედგრად გადაიტანა ყველა გაჭირვება” (**სურგულაძე, 1995: 92-93**).

გალენი წერს, რომ ,,სინაგალას” რაზმში იბრძოდა 60-მდე საბჭოთა მეომარი ახასიათებს მათ დამსახურებას ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იტალიელი მკლევარი მათ მოიგონებს, როგორც ,,მედგარ და გამბედავ მებრძოლეებს” (,,თავგანწირულ გმირებს”). ეს დახასიათება ისევე ეკუთვნით თავგანწირულ ქართველ მებრძოლებს, როგორც სხვა საბჭოთა მეომრებს.

იტალიელ ხალხს დღესაც ახსოვს ქართველი მებრძოლეები. დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ თითოეულ პარტიზანს და გულთბილ მადლობას უხდიან მათ. პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას. იტალიელი პარტიზანი 97 წლის ვანდა კანა, რომელიც ბორგოსეზიაში ცხოვრობს XX საუკუნის 90-იან წლებშიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს ქართველ მებრძოლეებს - ფორე მოსულიშვილსა და მეგონა ღურწკაიას.

ამრიგად, შეიძლება თქვას, რომ ქართველმა პარტიზანებმა დიდი როლი ითამაშეს იტალიაში ფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1943-1945 წლებში მთელი იტალია საუბრობდა ქართველი პარტიზანების მამაცობასა და თავდადებაზე.

თავი II. ქართველი პარტიზანები საფრანგეთში

საფრანგეთში ისევე როგორც იტალიაში მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა ანტიფაშისტური მოძრაობა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საფრანგეთის განთავისუფლებას ფაშისტებისაგან.

„ჰიტლერულმა აგრესიამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდად შეუწყო ხელი წინააღმდეგობის მოძრაობას განსაკუთრებით შეიარაღებული ბრძოლის მოწყობას. აქამდე

ბევრ ფრანგს არ გააჩნდათ რწმენა თავისი ძალებისადმი და ეჭვობდა საფრანგეთის განთავისუფლებას. 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ პატრიოტებმა თქვეს: „ჩვენ მარტო არა ვართ, ისეთ მოკავშირესთან ერთად როგორიც საბჭოთა ხალხია, ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ თავისუფლება. შეგვიძლია გავიმარჯვოთ'' (**ტორეზი, 1954: 156**).

საფრანგეთის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველები. ისინი თავდაპირველად გერმანელებმა 1942 წელს ჩაიყვანეს საფრანგეთში შავი სამუშაოების შესასრულებლად,

ანტიფაშისტური მოძრაობა „მაკიზარების" სახელწოდებით ჩამოყალიბდა საფრანგეთში, სადაც ქართველებიც ერთიანდებოდნენ. თუმცა ქართველთა გადასვლა როდის მოხდა არაა ცნობილი და არც რაოდენობა. ქართველთა მონაწილეობა პარტიზანთა როგებში ორ ეტაპად შეიძლება გაიყოს - პირველი 1942-1943 წლები თუმცა ეს იყო მცირე ჯგუფი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლებში ამის მიუხედავად მაინც ვერ დააჩნიეს დიდი კვალი. მეორე ეტაპი კი დაიწყო 1944 წელს აქ უკვე მასობრივი ხასიათი მიეცა ამ ყველაფერს. არსებობდა მებრძოლთა ერთი პოლკი „მაკი ჟეორჟიენ", რომელიც ძირითადათ ქართველებისაგან იყო დაკომპლექტებული. მართალია, მასში სხვა ეროვნების მებრძოლეებიც ირიცხებოდნენ, თუმცა ძირითად ბირთვს მაინც ქართველები შეადგენდნენ. აღნიშნული პოლკი დაახლოებით 1500-ზე მეტ მებრძოლს მოითვლიდა, ქართველების გარდა ერთიანდებოდნენ რუსები, კავკასიელები და შუა აზიელები (**სურგულაძე, 1995: 103**).

გაურკვეველია ზუსტი რაოდენობა უცნობია თუმცა, „მაკი ჟორჟიენის" მეთაურმა ოთარ იშხნელმა თავის დროზე მიაწოდა მებრძოლთა სია სადაც 800-მდე ქართველია დასახელებული. ეს იყო არასრული სია და ამ სიაში არ ირიცხებოდა ის 100-ზე მეტი ქართველი, რომელიც ტყვეობიდან თავის დაღწევისთანავე ჩაება ბრძოლაში. ამ სიაში არ არის მითითებული აგრეთვე ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთ დეპარტამენტში მებრძოლი ქართველი პარტიზანები (**იქვე: 103**).

1944 წელს, საფრანგეთში, აქტიურად დაიწყო ტყვეთა გაქცევა. იგი გამოწვეული იყო გერმანელების მხრიდან განსაკუთრებული „ზრუნვით“, რომლის მიზეზი მალე გაიგეს. გერმანელებს სურდათ ქართველები გადაეყვანათ მაღაროში სამუშაოდ სადაც უმძიმესი პირობები იყო. ქართველებმა რამოდენიმეჯერ მოახერხეს ბანაკიდან გაქცევა. მართალია, ყველა გაქცევის ოპერაცია ეფექტურად არ დასრულებულა, თუმცა რამოდენიმე ქართველმა მაინც დატოვა ტყვეთა ბანაკი. დარჩენილ ტყვეებს გერმანელები სასტიკად გაუსწორდნენ. ხოლო, გაქცეულებს მდევარი დაადევნეს. ხალხში ხმა გაავრცელეს, თუ მეთაურის მიგნებაში დაეხმარებოდნენ ფულად ჯილდოს მიიღებდნენ.

რამოდენიმე დღის შემდეგ გერმანელები თავს წაადგნენ პარტიზანთა რაზმს კარმოსა და სენ-კრისტოფს შორის ჟონკევილის ტყეში. პარტიზანები მიხვდნენ, რომ ძალები არათანაბარი იყო. გამოუალ სიტყვაციაში აღმოჩნდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ იმ დროს პარტიზანთა ბანაკში მოსული იყვნენ ფრანგ პატრიოტთა ოჯახის წევრები. ეს ურთულესი და უთანასწორო დარტყმა ქართულმა ბატალიონმა საკუთარ თავზე აიღო. პარტიზანი ივანე დინგაშვილი არ დაიბნა. მან სწრაფად გაანალიზა სიტუაცია. ოცეულები განალაგა და ფაშისტებს ცეცხლი გაუხსნა. გერმანელებიც არ დარჩნენ ვალში. გაიმართა ორმხრივი არათანაბარი ბრძოლა. თუმცა ამ რთულ სიტუაციაში ქართველებმა უდიდესი სიმამაცე გამოამჟღავნეს და მაინც მოახერხეს პატრიოტთა ოჯახის წევრების მშვიდობიანად გაყვანა უსაფრთხო ადგილას (**იქვე: 109**).

აღსანიშნავია ალექსანდრე კალანდაძის მოქმედება რომელიც რთულ სიტუაციაში სიმამაცეს და მხნეობას ჰმატებდა თანამებრძოლეებს. ,,იგი თავის მებრძოლთა შორის იმყოფებოდა, გადადიოდა ერთი ჯგუფიდან მეორეში. მორალურად ამხნევებდა ამხანაგებსა და ეხმარებოდა მათ. თავისი აუღელვებლობით ის გამოხატავდა სრულ ზიზღს გერმანელებისადმი და მთლიანად თავგანწირვას სიკვდილის წინაშე” (**იქვე: 110).**

ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრნენ ქართველებიც. ესენი იყვნენ: ასეულის მეთაური დინგაშვილი. რაზმელები ნ. ტაბაღური, ს. ხატიაშვილი, და ა.ხუჯუა, რომელიც გერმანელებმა

ხელთ იგდეს და ცოცხლად დაწვეს. საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სარდლობამ უმაღლესი ორდელებით დააჯილდოვა ისინი. რაც შეეხება ალექსანდრე კალანდაძეს მან უდიდესი კვალი დატოვა ქართულ პარტიზანულ მოძრაობაში. „1944 წელს ალექსანდრე კალანდაძემ საფრანგეთში ქართველ ტყვეთა ბანაკში შეაღწია და აჯანყება მოაწყო. იგი საფრანგეთის ინტერნაციონალური სახალხო პოლკის კომისარი გახდა. მონაწილეობს ქალაქების - კარმოს, ალბის, კასტრის, როდეზის, ტულუზის განთავისუფლებაში. ორიოდე დღის შემდეგ ასეულმა მძიმე ბრძოლა გაუმართა დამსჯელ ექსპედიციას. ათასობით ქალმა და მოზარდმა თავი ტყეს შეაფარა, რათა გერმანიაში არ გაერეკათ. დამსჯელებს განზრახული ჰქონდათ მკაცრად გასწორებოდნენ მათ, მაგრამ პარტიზანები გმირულად დაუხვდნენ ფაშისტ ჯალათებს. იყო მსხვერპლიც. მეორე დღეს საძმო საფლავმა საფრანგეთის თავისუფლებისთვის დაღუპული ათობით მებრძოლის ნეშტი მიიბარა“ (**ბოჩკოვა-ხვიჩია, 2016**). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალაქ კარმოს განთავისუფლება ფაშისტებისაგან, რომელსაც განსაკუთრებულად შეიარაღებული გერმანული გარნიზონი იცავდა. თუმცა ქართველებმა ისეთი ძალით შეუტიეს მათ რომ გერმანელებმა იარაღი დაყარეს და დანებდნენ.

ქართველი პარტიზანები მონაწილეობდნენ აგრეთვე ქალაქ ალბის განთავისუფლებაში. სადაც პარტიზანებმა 17 მებრძოლი დაკარგეს, მათ შორის 3 ქართველი. დაღუპულთა შორის იყო ქუთაისელი სერგო თორთლაძე, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს გერმანელებმა.

ქართველმა პარტიზანებმა შემდეგ გაანთავისუფლეს ქალაქი „გაიკა“. თუმცა, ისინი ხვდებოდნენ, რომ გერმანელები ასე ადვილად არ შეეგუებოდნენ ქალაქის დაკარგვას და უკან აუცილებლად დაბუნდებოდნენ. ყველაზე ცუდ დღეში იქ მცხოვრები მოსახლეობა ჩავარდებოდა. ამიტომაც პარტიზანები უკან დაბრუნდნენ და ფაშისტების ძლიერი შეტევა მოიგერიეს და ქალაქი გადაარჩინეს. ,,40 ქართველი ტანკსაწინააღმდეგო ტყვიამფქვევებით დაედევნა ფაშისტებს. დახოცეს ბევრი მათგანი და გაანთავისუფლეს დასახლებული

პუნქტები: სესტეიროლი, ფეისი, კასტანე, მუსენი და სხვ. შედეგ პოლკი კასტრისაკენ გადაისროლეს სადაც ე.წ ,,შავი მთების" სახელობის პარტიზანული რაზმის მხარდამხარ იბრძოდნენ. აღნიშნულ რაზმში 7 ქართველი ერთიანდებოდა. Aამ ქალაქის განთავისუფლებას ხელი შეუწყო თვითონ ამ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის აჯანყებამაც. საბოლაოდ გერმანელებმა იარაღი დაყარეს. Pპარტიზანებმა ეს ქალაქიც გაანთავისუფლეს. ფრანგულმა პრესამ ღირსეულად შეაფასა ქართველების როლი, ალბის, გაიკას, კასტრისა და სხვა ქალაქების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში (**სურგულაძე,1995: 116**).

ქალაქ ტულიზის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მოეწყო საზეიმო მსვლელობა (პარადი). მასში მონაწილეობდა ქართული პოლკის პირველი ბატალიონიც. პარადზე იმყოფებოდა გენერალი შალ დე გოლი. ხოლო მის გვედით იდგა ოთარ იშხნელი. როდესაც ქართველებმა გენერალს გვერდით ჩაუარეს განსაკუთრებულად მოითხოვა შალ დე გოლმა მათ მეთაურთან შეხვედრა. მეთაური გახლდათ ქართველი პარტიზანი ვახტანგ სეხნიაშვილი. შალ დე გოლმა მას უდიდესი მადლობა გადუხადა საფრანგეთის ქალაქების განთავისუფლებისათის.

„საფრანგეთის ეროვნულ გმირად აღიარებამდე ვახტანგ სეხნიაშვილი უკრაინაში, ლვოვის სატანკო ნაწილში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. საბრძოლო ოპერაციებში მტერმა მისი ტანკი პირველად ბერდიჩევის მისადგომებთან ააფეთქა, მეორედ - დნეპროპეტროვსკთან, მესამედ - ხარკოვთან; მძიმედ დაჭრილი დაატყვევეს. სამხრეთ საფრანგეთის ქვანახშირის საბადოებში დაიწყო დიდი პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც საფრანგეთის ეროვნულ გმირად აღიარებამდე მიიყვანა თელაველი ვაჟკაცი. მანამდე იყო ჯილდოები: საფრანგეთის ორდენი - სამხედრო ჯვარი, მედალი ,,მებრძოლის ჯვარი" და საფრანგეთისათვის მებრძოლი ,,მოხალისე პარტიზანის" წოდება (**ზაალიშვილი, 2018**).

საქართველოს ისტორიის ნარკვევებში მოთხრობილია ვახტანგ სეხნიაშვილზე, რომელიც 1944-1945 წლებში პარტიზანთა რაზმს, შემდეგ ათასეულს, ბოლოს ბატალიონს მეთაურობდა. მას პირად-ად **შარლ დე გოლმა** ჩამოართვა ხელი და მადლობა გადაუხადა საფრანგეთისთვის გაწეული დიდი სამსახურისთვის ფრანგულმა გაზეთმა ,,ლე მონდმა" 2000 წლის 22-23 ოქტომბრის ნომერში მთელი გვერდი დაუთმო ვახტანგ სეხნიაშვილის ღვაწლს" (**იქვე**).

საფრანგეთის მთავრობამ ღირსეულად დააფასა ქართველთა მხარდაჭერა და დამსახურება. Mმაგალითად, ,,მრისხანე ლეგიონის მეთაურს ოთარ იშხნელს ებოძა საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინი და დაჯილდოვდა მედლებით ,,მოწინავე პარტიზანის" და ,,მამაცობისათვის". მასვე გადასცეს აგრეთვე ,,სამხედრო ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით." ასეთივე ჯილდოებით აღინიშნა კომისრის ღვაწლიც"

გენერალი კიონიგი აღნიშნავდა, რომ ,,იგი არამატო კარგი პოლიტმუშაკია, არამედ ,,მამაცი მებრძოლი", რომელიც ყოველთვის დიდებულ მაგალითს აძლევდა თავის მეომრებს" (**სურგულაძე, 1995: 120**).

ძალიან ბევრმა ქართველმა მებრძოლმა დაიმსახურა ,,სამხედრო ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით," რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთ უმაღლეს ორდენად ითვლება.

გარდა ქართული პოლკისა ქართველები ირიცხებოდნენ ფრანგ პარტიზანთა რიგებშიც. აღსანიშნავია პირველი ბატალიონის ქვედანაყოფი, სადაც ერთიანდებოდნენ ქართველები - გიორგი შავშავიშვილი, ვასო ხუციშვილი, ალექსანდრე ხელთაგუროვი, და პეტრე ქიტიაშვილი. მათ 1942 წელს დააღწიეს ტყვეთა ბანაკს თავი, და ადგილობრივი გლეხების დახმარებით ჟან ლე კროკანის რაზმს შეერთდნენ. აღნიშნულ რაზმს 1943 წელს შეეერთდა ,,საბჭოთა ადამიანების" კიდევ ერთი ჯგუფი. მათგან ჩამოაყალიბეს „ელ-ჩატოს" რაზმი, რომელსაც განსაკუთრებული სამხედრო ოპერაციების დროს იყენებდნენ. ამ რაზმის განსაკუთრებულ სამხედრო ოპერაციად ითვლება კონდა ლელარდენის ქიმიური ქარხნის აფეთქება, რომელიც გერმანიას ამარაგებდა საბრძოლო მასალით. ამ შეტევის დროს

ქარხანა იმდენად დაინგრა, რომ მისი აღდგენა 1947 წლამდე ვერ მოხერხდა. ამან უდიდესი დარტყმა მიაყენა გერმანიას. როცა პარტიზანები უკან ბრუნდებოდნენ გზად პოლიციათა სადამსჯელო რაზმი დაესხა თავს. პირველად შეტევაზე ქართველები გადავიდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გიორგი შავშაშვილი,

ფრანგ პარტიზანთა „სელენგრეის“ რაზმს 1943 წლის 12 ოქტომბერს 8 ქართველი შეუერთდა. აღნიშნული რაზმი 15 ოქტომბერს თავს დაესხა სოფელ სანტ-ალვერის მახლობლად გერმანელ ფაშისტებს. ეს ბრძოლა პარტიზანთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა პარტიზანი აბელ პეტრიაშვილი, რომელიც ტყვედ ჩაიგდეს და პერიგეს საავადმყოფოში დააწვინეს რათა გამოჯანმთელებულიყო და სამაგალითოდ დაესაჯათ. თუმცა მეგობრებმა ვერ გაიმეტეს იგი ასეთი ხვედრისთვის და საავადმყოფოდან გაიტაცეს. ერთი თვის მკურნალობის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა ბრძოლის ველს (**სურგულაძე, 1995 127**).

1943 წლის 7 ნოემბერს ,,სენგლიერის” რაზმს ,,ნიოვიკის” ტყეში ფაშისტები დაესხნენ თავს. გერმანელებს ჰყავდათ დამხმარე ძალა სოფელ ,,სარლიეს” პოლიციათა რაზმის სახით. ბრძოლა არათანაბარი იყო. წინა ხაზზე იმყოფებოდა ქართული ბატალიონი, რომელიც ცდილობდა დასახული მიზნის სისრულეში მოყვანას. პარტიზანთა მხრიდან მძიმედ დაიჭრა ოთხი ქართველი. მათ შორის იყო ისევ აბელ პეტრიაშვილი, გიორგი ჯიქია, სულიკო აბულაძე და იოსებ ალხანიშვილი. დაჭრილების ბრძოლის ველიდან გაყვანა სამწუხაროდ ვერ მოხერხდა. გერმანელებმა ისინი ხელთ იგდეს და 10 დეკემბერს დახვრიტეს.

უდიდესია ქართველ პარტიზანთა დამსახურება, საფრანგეთში, „დორდონის“ დეპარტამენტის „პერიგეს“ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სერგო ტურძელაძე. ქართველები ასევე მონაწილეობდნენ „დორდონის“ მეზობელი დეპარტამენტების განთავისუფლებაში. სადაც ბევრი ქართველი დაუღუპა.

,,ბრივის" ახლოს ბრძოლაში დაიღუპა პარტიზანი დავით ვერულაშვილი. სარკინიგზო ხიდის აფეთქებისას ის ფეხში დაიჭრა. ამ მამაცმა მებრძოლმა გერმანელებს ტყვედ რომ არ ჩავრდნოდა თავი მოიკლა. მისი ცხედარი ფაშისტებმა სასტიკად შეურაწყვეს.

,,ტიულის" განთავისუფლებისას დაიღუპა ჭიჭიკო ალანია. პარტიზანთა ცნობით ის ორმა გერმანელმა დანით მოკლა. აგრეთვე ჭრილობების გართულების გამო გარდაიცვალა გიორგი ქილიფთარი. გაქცევისას ფაშისტებმა დაიჭირეს და დახვრიტეს შალვა მებალიშვილი, მიხეილ კულუმბეგაშვილი, გიორგი მოსესაშვილი, და სხვ. ისინი დაკრძალულნი არიან საფრანგეთში, ძმათა სასაფლაოზე (**იქვე: 139**).

ფრანგული წყაროები ვერ გვაწვდის ინფორმაციას ქართველი მებრძოლი პარტიზანების შესახებ. თუცა ცნობილია, რომ საფრანგეთის აღმოსავლეთით ,,მოზელისა" და ,,მესის" რეგიონებში მოქმედებდა პარტიზანთა 18 რაზმი. ამ რაზმთაგან ერთ-ერთის მეთაური გახლდათ პავლე ჩავჩიშვილი. ჩრდილოეთ საფრანგეთში ,,ბელგიის" საზღვართან იბრძოდა პარტიზანთა საბჭოთა რაზმი, რომლის სახელწოდებაც გახლდათ ,,სტალინგრადი". მათი მეთაური იყო გიორგი პონომარიოვი. ოდნავ დასავლეთით ტყიან მასივში ,,პა-დე-კალეს" რაიონში ,,სენ-მიშელ-მონდრეპიუს" მოქმედებდა პარტიზანთა ჯგუფი, რომელშიც ქართველები იყვნენ გაერთიანებულნი. ესენი იყვნენ: სერეკ შელია, ილია დარჩიაშვილი და სიმონ როტაშვილი. ამ ჯგუფს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართველი კაპიტანი (**იქვე: 142**).

ქართველებმა აგრეთვა გაანთავისუფლეს ქალაქი „ივი".

,,სან-მარსელში" იბრძოდა ბათუმელი შაქრო ცინცაძე, რომელიც, ოლქის ბრძანებით დააჯილოეს ,,სამხედრო ჯვრის, ბრინჯაოს ვარსკვლავით." სარდლობის დახასიათებაში მის შესახებ წერია: ,,იგი აქტიური წევრი იყო შეიარაღებული ბრძოლებისა. მონაწილეობდა მრავალრიცხოვან ხელჩართულ შეტაკებაში, ამჟღავნებდა გამბედაობასა და მამაცობას. რისი წყალობითაც გაანთავისუფლეს მრავალი ტყვე" არსებობს სხვა საბუთები სადაც ვკიხულობთ - ,,მე მეორე ასეულის მეთაური კაპიტანი დესიუ ვადასტურებ, რომ კაპრალი

შაქრო ცინცაძე-მაკი, 1943 წლიდან შემოგვიერთდა 1944 წელს ივნისში ,,სან მარსელოს" ბანაკში. ეს მებრძოლი ყოველთვის გამოირჩეოდა სამაგალითო დისციპლინითა და საუკეთესო მოქმედებით მარზანის სექტორში ბრძოლის დროს". თვითონ შაქრო ცინცაძე პროფესორ აბელ სურგულაძესთან პირად საუბრებში ასახელებს სხვა ქართველ თანამებრძოლებსაც, კერძოდ აბრამ ბეგიაშვილს, ალექსი დევრისაშვილს, სერგო მესხაძეს და შაქრო ბედინეიშვილს. მისი თქმით ,,იყვნენ კიდევ სხვები" თუმცა სამწუხაროს სახელებს ვეღარ იხსენებს (**სურგულაძე, 1995: 143**).

პარტიზანებმა მოაწყვეს მორიგი აჯანყება რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველებიც. ესენი იყვნენ: მანანა მჭედლიშვილი, გიორგი გეგელია, არისტრახო მირცხულავა, ალექსანდრე მორჩილაძე, ვლადიმერ ჯიქია, გრიგოლ გობეჯიშვილი, ალექსი ინაძე და სხვ. კონკრეტულად რა დამსახურება მიუძღვით ამ ქართველ პარტიზანებს წყაროებიდან არ ჩანს.

მანანა მჭედლიშვილსათვის გაცემულ ცნობაში ნათქვამია ,,1944 წლიდან ცხოვრობდა ,,ლევილში" ორჟაზე, სადაც მუშაობდა პროფესორ თაყაიშვილთან. სარგებლობდა ჩვენი დახმარებით გერმანული ოკუპაციის ჟამს და მონაწილეობდა ადგილობრივ წინააღდეგობის მოძრაობაში. განთავისუფების დღეებში იგი ჩვენს განკარგულებაში იყო, როგორც ექთანი. ყველა გაწეული სამსახურისათვის მადმუაზელ მჭედლიშვილს გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოვდა ჩვენი მეცადინეობით" (**სურგულაძე, 1995: 144**)

შეუძლებელია ისაუბრო პარტიზანებზე და თავი აარიდო უდიდეს პატრიოტს პარტიზანს დიმიტრი ამილახვარს, რომელმაც სამაგალითო და სასახელო ფურცლები ჩაწერა ქართველ პარტიზანთა ისტორიაში.

დ. ამილახვარი სრულყოფილად დაეუფლა ფრანგულ ენას. ,,გონებით ფრანგი გახდა თუმცა სულით მაინც ქართველი დარჩა." სწორედ სწავლის დროს გამოამჟღავნა მან დიდი სიყვარული ფრანგებისადმი. რის გამოც სიყვარული და პატივისცემა დაიმსხურა ფრანგებიდან. ჯერ კიდევ სწავლისას მას უფროსები ,,დიდ მომავალს

უწინასწარმეტყველებდნენ.” მას გააჩნდა ყველა ის თვისება, რაც აუცილებელი იყო სარდლობისათვის. იგი გამოირჩეოდა ჭკუით, გამჭრიახობით, რაინდული სულისკვეთებით, ენერგიულობით, პირდაპირობით, გამბედაობით და კიდევ მრავალი სხვა დადებითი თვისებით. Gგარდა ამ ადამიანური ღირებულებებისა ის განსაკუთრებული გარეგნობითაც გამოირჩეოდა. პირველად თავი გამოიჩინა სამხრეთ მაროკოს ოპერაციებში და სრულიად ახალგაზრდამ საფრანგეთის არმიის კაპიტნის ჩინი დაიმსახურა. იგი მონაწილეობდა თითქმის ყველა ბრძოლაში და ჯარისკაცებს სიმამაცის მაგალითს აძლევდა. ყველა ენდობოდა და პატივსცემდა რადგან, იყო ყოველმხრივ დიდი, ამ სიტყვების ყველა მნიშვნელობით. შესახედაობით გამბედაობისთა და კეთილშობილებით.

გენერალმა კანტუმ შესთავაზა მას საფრანგეთის ქვეშევრდომობა. გენერალი წერს: ,,ამაოდ ვთხოვდი გამოეცვალა ეროვნება და ფრანგი გამხდარიყო. მისი პასუხი უცვლელი და მტკიცე იყო. იგი დიდად აფასებდა იმ პატივს, რომელსაც სთავაზობდნენ. თავის მეორე სამშობლოს ერთგული იქნებოდა, მაგრამ უზენაეს მოვალეობად თვლიდა ერთგულ დარჩენილიყო თავისი ნამდვილი სამშობლოსი, სადაც იმედოვნებდა დაბრუნრბას, როგორც მისი ჭეშმარიტი მოქალაქე” (**სურგულაძე, 1995: 149**).

დ. ამილახვარი იყო თავგანწირული მებრძოლი, ერთგული, მამაცი და გამბედავი. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როცა ბრძოლის ველზე ორმხრივი ცეცხლლი იყო გახსნილი ფრანგების მთელი ლეგიონი მიწაზე მიხოხავდა, მხოლოდ დიმიტრი მდგარა ფეხზე თავისი დურბინდით და ნაბადით და მტერს აკვირდებოდა. თითქოს მორიგ დაზვერვაზე ყოფილიყო. ერთ-ერთმა მებრძოლმა ამის დანახვაძე შესძახა ,,დაწექით ჩემო კაპიტანო”. მან კი უპასუხა ,,მეც თუ დავწვები ვინღა უთვალთვალებს მტერს?” ისე მშვიდად და აუღელვებლად თითქოს ოპერის ლოჟაში ყოფილიყო (**იქვე** 150).

შემდეგ უკვე დიმიტრი ამილახვარი თავის ნაწილთან ერთად ,,ლიბიაში” გადაიყვანეს. Aაქ მან გამოიგონა ტანკსაწინააღმდეგო ბრძოლის ახალი სისტემა, რომლის მიმართ ყველა სკეპტიკურად განეწყო. თუმც, ბრძოლის დაწყებისთანავე გაანადგურა მტრის ათეული ტანკი.

ფრანგი გენერალი, აღფრთოვანებით უყურებდა და შეაქო თურმე იგი. ბრძოლის დროს დ. ამილახვარი ყოველთვის შუაგულში მდგარა და ,,თანამებრძოლეებს ამხნევებდა." ერთ-ერთი მონაწილე იგონებს: ,,მან გაადააჭარბა ადამიანურ შესაძლებლობათა ყოველივე ზღვარს. დღე და ღამ ჩვენს შორის იყო. წამითაც არ შეუსვენია. იძლეოდა ბრძანებებს და განუწყვეტლივ ამზადებდა კონტრშეტევებს. გაოცებული შევსცქეოდით და გვიკვირდა რა ძალა ჰყოფნის, რომ კიდევ ფეხზე დგას და თავის აწევა შეუძლია" (**სურგულაძე, 1995: 151**).

დ. ამილახვარის უკანასკნელი ბრძოლა იყო ,,ჰიმეიმტის ბორავის" აღებაში მონაწლეობა. სადაც უმძიმესი სურათი დაიხატა ბრძოლის ველზე. იგი, თავის ჯარისკაცებთან ერთად სიფრთხილით მიიწევდა წინ. Mმტერი ძლიერი ღმოჩნდა. იმ დროისათვის რაზმელებს უკან დახევა მოუწიათ. დიმიტრი ამილახვარს გაუგზავნეს დაჯავშნული მანქანა, რათა უსაფრთხოდ გასულიყო ბრძოლის ველიდან. თუმცა მან ასეთი პასუხი გასცა: ,,მე ჩემს ლეგიონთან დავრჩები." ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ამილახვარი გმირულად დაიღუპა 1942 წლის 24 სექტემბერს, ელ-ალამეინის ბრძოლის დროს. იგი დიდი პატივით იქნა დაკრძალული ლიბიის უდაბნოში.

II მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, დიმიტრი ამილახვარი შარლ დე გოლმა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირად გამოაცხადა. მისი სახელი პარიზის ერთ-ერთ ქუჩასა და სენ-სირის სამხედრო აკადემიის 1945-1956 წლების გამოშვებას მიენიჭა (**ლაბაძე, 2014**). იგი გახდა აგრეთვე ფრანგი პოეტების შთაგონების წყარო. ფრანგი პოეტი მორის როსტანი მწუხარებით დასტირის დაღუპულ გმირს, რომელსაც ,,ორჯელ მოარტყეს მტრებმა ტყვია ორივეჯერ შუბლში." იგი ,,უკანასკნელ სისხლისმღვრელ ბრძოლაში ორჯერ ჯერ საქართველოსთვის და მერე საფრანგეთისთვის მოკვდა." ,,ამილახვარი იყო ღირსეული შვილი სამშობლოსი - საქართველოსი და ერთგული საფრანგეთისა (**სურგულაძე, 1995: 154**).

საფრანგეთში ქალაქ პერიგოში გაიმართა ქართველ პარტიზანთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი, რომლებიც 1943 წლის 10 დეკემბერს, რამპინსოლში, ნოტრ დამ

დე სანილიაკის მახლობლად, დახვრიტეს ფაშისტებმა. ,,ესენი იყვნენ ივანე აბრამიძე, სულიკო აბულაძე, იოსებ ალხანიშვილი, გრიგოლ ჯიქია, ეფრემ ებრალიძე, ნიკო მარგებაძე, არჩილ მირიანაშვილი, აბელ პეტრიაშვილი, ივანე ჩხენკელი. ქართველ ჯარისკაცთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი, რომელზეც გახსნეს განახლებული მემორიალური სტელა, ქ. პერიგოს მერიისა და დორდონის რეგიონის ვეტერანთა ეროვნული ასოციაციის მიერ იყო ორგანიზებული. ცერემონიალს ასევე ესწრებოდნენ პერიგოს მერი (მიშელ მოირანდი), დორდონის პრეფექტი (ჟაკ ბიანი), დორდონის ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტი, დორდონის შეიარაღებული ძალების უფროსის მოადგილე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, წინააღმდეგობის მოძრაობის ბოლო ცოცხალი წევრები, ვეტერანთა ასოციაციის წევრები, მერიისა და პრეფექტურის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე ერთ-ერთი დაღუპული ოფიცრის იოსებ ალხანიშვილის შთამომავლები და ფრანგული მასმედიის წარმომადგენელები“ (ლაბაძე, 2014).

შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა პარტიზანებმა უდიდესი როლი ითამაშეს საფრანგეთში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ქართული ტელევიზია დაინტერესდა საფრანგეთში მებრძოლი პარტიზანებით და სპეციალური რეპორტაჟი იქნა გადაღებული ამ გმირებზე.

თავი III. ქართველი პარტიზანები ბალკანეთში

ბალკანეთში, კერძოდ ალბანეთში მებრძოლ ქართველთა შესახებ ცნობები შედარებით მწირია. ეს გარკვეულ წილად გამოიწვია იმანაც, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყანასთან.

გარკვეულ ცნობებს ბალკანეთში მებრძოლ ქართველ პარტიზანებზე გვაძლევს მემედ ფეზლის ძე კონცელიძე. იგი დაიბადა 1912 წლის 15 დეკემბერს მახინჯაურში. მიიღო უმაღლესი სასოფლო–სამეურნეო განათლება და მუშაობდა ჯერ ოჩხამურში, შემდეგ კი ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურის ჩაის მეურნეობაში ინჟინერ–მექანიკოსად. მეორე მსოფლიო ომის დაწყების მეორე დღესვე გაიწვიეს ჯარში.

მემედ კონცელიძე 46–ე არმიის ერთ–ერთი პოლკის შტაბის უფროსის მოადგილე იყო. მონაწილეობდა მარუხის უღელტეხილისათვის ბრძოლებში. 1942 წლის 5 სექტემბერს მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. იმყოფებოდა ჯერ იუგოსლავიაში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ალბანეთში, სადაც სხვა ტყვეებთან ერთად ამუშავებდნენ ბარმაშის ხიდის აღდგენაზე. 1943 წლის დამლევს იგი ტყვეობიდან გაიქცა და „აკმარიას“ (სახალხო შურისმაძიებელი) ბატალიონს შეერთდა.

მემედ კონცელიძის პირველი საბრძოლო ნათლობა შედგა იმავე წლის სექტემბერში კორჩის რაიონში, სოფელ შტელის მახლობლად. ამ ბრძოლაში პარტიზანებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს. ოთხი თვის შემდეგ, როგორც კადრის ოფიცერი და ომში გამოცდილების მქონე, იგი დააწინაურეს მეოთხე ბრიგადის პირველი ბატალიონის შტაბის წევრად და, ამავე დროს, დანიშნეს ნაღმმტყორცნელთა ასეულის მეთაურად.

1943 წლის დამლევს მემედ კონცელიძე გადაიყვანეს ალბანეთის განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ და თან შეუთავსეს მე-4 ბრიგადის პოლიტსამმართველოს უფროსობა. მან რუსულთან ერთად

კარგად იცოდა თურქული ენაც, ამიტომ როგორც პოლიტსამმართველოს უფროსი, დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა ალბანელ მოსახლეობაში და პარტიზანებს შორისაც.

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი წერდა: „... თავისი საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი გერმანელებზე ჩვენს გამარჯვებას. ომის განმავლობაში მებრძოლებს უნერგავდა მხნეობას, მამაცობას, პატრიოტიზმს და მტრისადმი სიძულვილს. სარგებლობდა სარდლობის დიდი ნდობით, ჯარისკაცების სიყვარულით, მშვიდობიანი მოსახლეობის პატივისცემით. მისი მეთაურობით განხორციელდა რამდენიმე დიდი ოპერაცია, რომელმაც დააჩქარა ათობით დასახლებული პუნქტისა და ათასობით ალბანელის განთავისუფლება ფაშისტური უღლისაგან. ამიტომ ამხ. მ. კონცელიძე იმსახურებს მადლიერი ალბანეთის საპატიო მოქალაქის წოდებას და პირველი ხარისხის „დიდების“ პარტიზანულ ორდენს“ (**კონცელიძე, 2013; დაუშვილი, 2012: 128-129; სდსინ, 2012: 223-225**).

ომის შემდეგ მემედ კონცელიძე გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში. მოღვაწეობდა თავისი პროფესიით. ალბანეთში ცხოვრების წლებზე არ საუბრობდა საბჭოთა კავშირსა და ალბანეთს შორის შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის გამო.

მემდ კონცელიძე 1963 წელს, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ მახინჯაურში (**დაუშვილი, 2012: 128-129**).

1941 წელს დაიწყო ბალკანეთში, კერძოდ იუგოსლავიის მთებში ანტიფაშისტური რაზმის ჩამოყალიბება. Kკონკრეტულად რამდენი ქართველი იბრძოლდა იუგოსლავიის მთებში პარტიზანთა მხარდამხარ არაა ცნობილი. მთავარი მიზეზი კი არის არამხოლოდ დამახინჯება სახელების და გვარებისა, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტებშიც არა არის შესწორებული. გარდა ამისა იუგოსლავიელები ყველა საბჭოელს უწოდებდნენ ,,რუსს.” ეროვნულ-განმანთავისუფლებელი არმიის მე-15-ე დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის კომისარი მილე პავლები აღნიშნავდა: ,,1943 წლიდან დაწყებული ჩვენს პარტიზანულ რაზმში მოდიოდნენ რუსები, მათ შორის იყვნენ უკრაინელებიც, ბელორუსებიც, უზბეკებიც,

ლიტვიელებიც, ქართველებიც, თათრებიც მაგრამ ჩვენ მათ რუსებს ვუწოდებდით, რადგან ამ სახელში ვგულისხმობდით ყველა საბჭოთა ადამიანს" (**სურგულაძე, 1995: 161**)

განსაკუთრებით აღსანისნავია, „მფრინავი ალექსანდრე მანაგაძე, რომელიც ომის ურთულეს პირობებში იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას იარაღს, საჭურველს, მედიკამენტებს, საკვებ პროდუქტსა და ტანსაცმელს აწვდიდა. იგი იუგოსლავიის ეროვნული გმირია" (**ჯანელიძე, 2017: 3**).

1942 წლიდან ის ფრონტზე იყო - იბრძოდა ყირიმში, სტალინგრადთან, კურსკთან, ორიოლთან, აღმოსავლეთ პრუსიაში, უნგრეთში, ავსტრიაში. 1944 წლიდან იუგოსლავიის ავია რეისების მონაწილეა, მე-5 გვარდიულ ავიადივიზიის სხვა მფრინავებთან ერთდა გადაჰქონდა სხვადასხვა ტვირთი. გადაჰყავდა დივერსული ჯგუფები ჩერნოგონიასა და ბოსნიაში. მონაწილეობდა დაჭრილ პარტიზანთა ევაკუაციაში.

ის დაჯილდოებულია, სამი წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მრავალი მედლით.

პარტიზანულ მოძრაობაში ქართველთა რიცხვი განსაკუთრებით 1942 წელს გაიზარდა, როცა გერმანელებმა თავისი ჩვეული რეჟიმი არ დაარღვიეს და ტყვეები ჩაიყვანეს სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. 1943 წლის გაზაფხულზე პარტიზანთა რიგებში გადავიდა ტყვეთა რამოდენიმე ჯგუფი, რომლებიც გაერთიანდნენ მე-18-ე დივიზიის მე-8 ბრიგადის შემადგენლობაში. ოცეულის მეთაურად დაინიშნა მიხეილ ნიორაძე, რომელიც შემდგომში ამავე ბატალიონის კომისრად დააწინაურეს. 1943 წელს ქართველები ვინმე სეფიაშვილის მეშვეობით დაუკავშირდნენ პარტიზანებს და 14 ნოემბერს მოაწყვეს გაქცევა ტყვეთა ბანაკიდან. გაიქცა 80 ტყვე, რომელიც გაგზავნეს მე-5 კორპუსის განკარგულებაში. ფაშისტებმა დარჩენილი ტყვების მიმართ რა თქმა უნდა გარკვეული სადამსჯელო ოპერაციები ჩაატარეს. კერძოდ, გააძლიერეს დაცვა ხოლო ეჭვმიტანილები დახვრიტეს. Eესენი იყვნენ: ა. ჭილაშვილი, მ. ეფრემიძე, ო, ომანაძე, ა. ივანაძე. თუმცა

ქართველები ამან მაინც ვერ შეაჩერა. 1944 წლის თებერვალში კვლავ გაიქცენენ ბანაკიდან, ამჯერად უკვე 101 კაცი.

ფაშისტებისაგან გაქცეული ქართველები ერთიანდებოდნენ ადგილობრივ პარტიზანულ რაზმებში და ებრძოდნენ მტერს თითქმის ყველა კუთხეში. ბიხაჩიდან გაქცეული ტყვეებისაგან შეიქმნა ბოსნიაში ასეული, რომელიც ექვემდებარებოდა მე-5 კორპუსის შტაბს. აღსანიშნავია ამ ასეულის ბრძოლა სოფელ ,,მუდრაცთან" სადაც 20-მდე პარტიზანი დაიღუპა.

ქართველები ერთიანდებოდნენ ,,ნიკოლა ტესლას" მე-6 პროლეტალური დივიზიის პირველი ბრიგადის მეხუთე ბატალიონში. ამავე ბრიგადაში შეიქმნა მეორე ბატალიონი. აქაც იყვნენ ქართველები გაერთიანებულნი. იგი 1944 წელს, ,,რუსული ასეულის" სახელით იყო ცნობილი. Mმომდევნო პერიოდში საბჭოთა ადამიანების მისვლის შემდეგ იგი ბატალიონად გარდაიქმნა. თვით ამ ბატალიონის მეთაური გახლდათ ჯუანშერ ჯეჯელავა, რომელსაც თანამებრძოლეები ვანიას ეძახდნენ. იგი აქტიურად მონაწილეობდა გერმანელთა წინააღმდეგ მოწყობილ ოპერაციებში. 1944 წლის 25 მაისს იგი ბრძოლის დროს მძიმედ გაიჭრა და გადაიყვანეს ქალაქ ,,ბარში" (იტალიაში სადაც იუგოსლავილეთა ჰოსპიტალში მკურნალობდა).

ქართველი პარტიზანები ერთიანდებოდნენ ,,სლოვენიაში" მებრძოლ პარტიზანთა რიგებშიც. ერთ-ერთი გახლდათ თბილისელი შოთა ქაჯაია. ის მოქმედი ასეულის პოლიტკომისარი გახლდათ. იგი 1943 წელს გაიქცა ტყვეობიდან და შეუერთდა პარტიზანებს და აქტიურად იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ.

დასავლეთ ,,სლოვენიაში" მოქმედებდა სტალინის სახელობის პირველი რუსული ბრიგადა, რომელშიც ქართველებიც ირიცხებოდნენ.

1943 წლის ოქტომბრიდან აღნიშნულმა ბრიგადამ ჩაატარა სხვადასხვა სახის 86 ოპერაცია. კერძოდ 1943 წლის ოქტომბერში თავს დაესხა მტრის კოლონას. ხოლო ,,კობარიდის" რაიონში ნოემბერში დაბა ,,ტოლბინის" გარნიზონს. 1944 წელს ,,ბენეციასთან"

გაანადგურა 800-მდე ჰიტლერელი ჯარისკაცი, აპრილში გაანადგურა ,,სპოდნეი იდრის" გარნიზონი. შემოდგომაზე გადაიხადა მძიმე ბრძოლები ,,პოსკინესა" და ,,პივკესთან." 1945 წლის გაზაფხულზე მონაწილეობდა ,,ტრიესტის" განთავისუფლებაში.

ამ ბრიგადის ყველა მებეძოლი ,,მოქმედებდა მამაცურად და უშიშრად. იყო ერთგული და სამაგალითო სლოვენი პარტიზანებისათვის." ბრიგადის მეომრები საკუთარ თავზე ღებულობდნენ მტრის შემოტევებს და მამაუცრად უმკლავდე-ბიდნენ მათ. თითოელი მათგანი (და მათ შორის ქართველებიც) დააჯილდოეს საბრძოლო ორდენებით.

1945 წლით დათარიღებულ მოწმობაში ნათქვამია: ,,ვადასტურებ რომ აკაკი ჯაყელს მიეცა მედალი მამაცობისათვის, იუგოსლავიელი ხალხის განთავისუფლებისათვის ანტიფაშისტური ვეჩეს წარმომადგენლებისაგან. ,,რადგან, იყო დისციპლინიანი და სამაგალითო ამხანაგი უსიტყვოდ ასრულებდა ყოველგვარ ბრძანება-დავალებას, მონაწილეობდა მთელი რიგი დივერსიულ ოპერაციებში. პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობდა პარტიზანულ ჰოსპიტალში. 1945 წელს სუსხიან ზამთარში, როცა რაზმი მტრის გარემოცვაში იმყოფებოდა, მიუხედავად ხანშიშიშესულობისა, აკაკი ჯაყელი მამაცურად და მხნედ იტანდა გაჭირვებას" (**სურგულაძე, 1995: 165-166).**

ქართველები იყვნენ აგრეთვე მაკედონის მე-2 ბრიგადის რუსულ ასეულში. მკვლევარი ტოლოვსკი ასახელებს თავის მოგონებაში, მხოლოდ სახელევბს სერგო და გრიგოლი. ამავე ავტორის მოგონებში აღნიშნულია ქართველ მებრძოლთა სიმამაცე და გმირობა - სოფელ ,,ვიტოლიშტეს" მაღაროებისათვის ბრძოლაში.

,,მაკედონიის: მე-5 ბრიგადა ჩამოყალიბდა 1944 წელს, რომელშიც ერთიანდებოდნენ რუსული მებრძოლი ასეული. მათ შორის ქართველებიც. აღნიშნული ბატალიონი მონაწილეობდა ,,მაკედონიის დაბების პრილეპის, კრუშევოს, ბიტალოს და სხვა განთავისუფლებაში. დრენოვოს ვოზარიცის აგრეთვე ტიკვეშისა და მარიოვოს რაიონებში მტრის გარნიზონის განადგურებაში" (**იქვე: 167).**

დაუდგენელია იმ ქართველთა ვინაობა, რომლებიც ერთიანდებოდნენ ხორვატიის განმანთავისუფლებელი არმიის მე-7 დივიზიის მე-4 ბრიგადის შემადგენლობაში.

ქართველები იბრძოდნენ აგრეთვე ,,ჩერნოგორელ" პარტიზანთა შორისაც. ისინი ერთიანდებოდნენ მე-5 ბრიგადის რუსულ ბატალიონში, რომელმაც 1945 წელს დიდი ბრძოლა გადაიხადა ,,პოდგორიცეს" მახლობლად. Pპარტიზანებმა მტრის სიჭარბის მიუხედავად უკან არ დაიხიენ და გაანთავისუფლეს: ,,კოლაშინი" ,,მოიკოვაცა" და ,,ბიელო პოლე."

მიუხედავად მასალის სიმცირისა ჩანს, რომ ქართველთა დამსახურება დიდია იუგოსლავიელი ხალხის განთავისუფლებისა და ფაშისტური გერმანიის წინაარმდეგ ბრძოლაში.

თავი IV. ქართველი პარტიზანები პოლონეთში

1939 წელს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, პოლონეთი მოუმზადებელი დახვდა ამ უეცარ თავდასხმას. გერმანელებმა მოახდინეს ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაცია. ჰიტლერმა შექმნა გერმანული საგუბერნატორო და დაიწყო ოკუპირებული ტერიტორიების გერმანიზაცია. ნაწილი მოსახლეობისა გადაასახლა, ხოლო ნაწილის ფიზიკური ლიკვიდაცია მოახდინა. პოლონელი ხალხი ბუნებრია არ შეეგუებოდა მსგავს პოლიტიკას. სწორედ ეს გახდა უმთავრესი მიზეზი წინააღმდეგობის მოძრაობის ჩამოყალიბებისა, მათ მიზანს წარმოადგენდა დაეცვათ სახელმწიფო ღირებულებები.

დადგენა იმისა, თუ რამდენი ქართველი პარტიზანი იბრძოდა პოლონეთში თითქმის შეუძლებელია. ბევრჯელ იყო მცდელობა დაედგინათ მათი რიცხვი, თუმც უშედეგოდ. ამ საკითხზე მუშაობდა პოზნანის სამხედრო-ეროვნული მუზეუმის მოადგილე მიხეილ კვალიაშვილი თუმცა უშედეგოდ.

ის ქართველები რომლებიც პარტიზანთა მხარდამხარ იბრძოდნენ იყვნენ სამხედრო ტყვეები, რომლებიც "საბჭოთა პარტიზანების" სახელით იყვნენ ცნობილნი. ბუნებრივია ამ სახელში არ იგულისხმებოდა მხოლოდ ქართველები, რაც ართულებს მათი რაოდენობის დადგენას. თუმც, ცნობილი, რომ ქართველები წარმოადგენდნენ მთავარ ბირთვს.

ქართველებმა თავიათი სიმამაცე და სიმხნევე გამოიჩინეს არაამარტო ბრძოლების დროს, არამედ ტყვეთა ბანაკიდან გაქცევის დროსაც. ისინი იჩენედნენ უდიდეს სიფრთხილეს და მაქსიმალურად ორგანიზებულად ცდილობდნენ ტყვეობიდან თავის დაღწევას. კერძოდ ისინი ქმნიდნენ არარეგალურ ჯგუფებს, უკავშირდებოდნენ ფარულად პარტიზანებს და რეგულარულად მათ რიგებში ერთიანდებოდნენ.

,,დიდი სამამულო ომის წლებში ფართოდ გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. წითელარმიელების შეტევებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს, ს. კოვპაკის, ლ.მედნიკის, მ. ნაუმოვის, ა. ოდუხას, ა. საბუროვის და სხვათა პარტიზანულ შენაერთებმა. დასახელებულ

შენაერთებსა და სხვა პარტიზანულ რაზმებში ვაუკაცურად იბრძოდნენ ქართველი მებრძოლეებიც. ისინი იყვნენ არა მხოლოდ რიგითი მებრძოლები, არამედ ხელმძღვანელობდნენ ცალკეულ პარტიზანულ რაზმებსა და ნაწილებს (**კუპატაძე, 1982: 60**).

ვარშავაში, სოფელ ,,ბენიამინოვოში" იყო ტყვეთა ბანაკი, რომელიც 20 000-მდე ტყვეს მოითვლიდა. 1942 წელს ფაშისტებმა ეს ბანაკი დაშალეს და ტყვეები სხვადასხვა მიმართულებით გადაისროლეს. უნდა აღინიშნოს, რომ იქ მხოლოდ ქართველები არ იმყოფებოდნენ. ამ განაწილების დროს ქართველები გადაიყვანეს სოფელ ,,მილაუში". სოფელ "დემბლინში" ჩამოყალიბდა არალეგარული ორგანიზაცია, რომელიც ტყვეთა გაქცევის საქმით იყო დაკავებული. ა. კაზარიანი აღნიშნავს ,,დემბლინში მოხერხდა გერმანელების მიერ შეპრყობილი 22 საბჭოთა პოლიტიკური მუშაკის, უმეტესად ქართველების ხსნა ჰიტლერულ ჯალათებისაგან. თავდაპირველად გვსურდა მათი გაქცევა უშუალოდ ბანაკიდან, მაგრამ არ მოხერხდა. მაშინ, გადავწყვიტეთ ისინი ჩაგვერიცხა მუშათა ბატალიონში, რომელსაც ბანაკის გარეთ მშენებოაზე იყენებდნენ. იქედან კი გაქცევა ადვილი იქნებოდა... პოლიტმუშაკები მუშათა ბატალიონის ერთად გავიდნენ ბანაკიდან და ყველამ მოახერხა გაქცევა" (**სურგულაძე, 1995: 180**).

მართალია, უცნობია ქართველთა რაოდენობა პარტიზანთა რიგებში თუმცა, ცნობილია ის კონკრეტული პირები, რომლებმაც პოლონელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში სასახელო ფურცლები ჩაწერეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მაიორი გიორგი დუბაიშვილი, რომელმაც ჩამოაყალიბა სადივერსიო ჯგუფი. მათ რამოდენიმე წარმატებული ოპერაცია განახორციელეას. სამწუხაროდ იგი ფაშისტების უეცარი თავდასხმის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვასილ ტერენტის ძე მანჯავიძე, რომლის მეთაურობით შეიქმნა ერთ-ერთი პირველი საბჭოთა პარტიზანული რაზმი პოლონეთში. აღნიშნულმა რაზმმა უდიდესი წვლილი შეიტანა პოლონელი ხალხის განთავისუფლების საქმეში.

„მანჯავიძის რაზმმა 1943 წელს მაისში, ააფეთქა სუშეც-ბიელუეცის სამხედრო ეშელონი. გზიდან გადააგდო ორი ორთქმავალი და 14 ვაგონი. გაანადგურა ორი ტანკი და 12 ავტომანქანა. პარტიზანებმა ბილგორაია ტარნოგარუდის გზაზე დაწვეს მტრის 2 ავტომანქანა მოკლეს 8 გერმანელი.

იმავე წელსვე მანჯავიძის რაზმმა შეუტია დაბა იუზეფუვს, საიდანაც განდევმა გერმანელთა გარნიზონი და გაანთავისუფლა დაბა. დაწვეს ხიდი ბილგორაია ტარნოგარუდის გზაზე. ააფეთქა ხიდი რუსკა-უგნევის რკინიგზაზე“ (**გურული, 1975: 87**).

პოლონელი ჟურნალისტი ეჟი სროკა ქართველი პარტიზანების შესახებ წერდა,,მათი სახელი მარად დარჩება პოლონელი ხალხის გულში, როგორც ჩაუქრობელი დიდებისა და საბრძოლო მეგობრობის სომბოლო“ (**სურგულაძე, 1995: 186**). 1965 წელს ვასილ მანჯავიძე პოლონეთის მთავრობამ დააჯილდოვა - ,,ოქროს ჯვრით”.

პოლონეთში ერთ-ერთ პარტიზანულ ბრიგადას სათავეში ედგა ქართველი პარტიზანი ივანე გიორგის ძე შუბითიძე. იგი სმოლენსკის მისადგომებთან ჩავარდა ტყვეთ. თუმცა, მალე დააღწია თავი ტყვეობას და 1942 წელს ჩამოაყალიბა რაზმი, რომელშიც ქართველების გარდა პოლონელებიც ირიცხებოდნენ. აღნიშნულმა რაზმმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია გერმანელებს. კერძოდ, 1943 წელს დახლოვის ტყეში განახორციელა რამოდენიმე წარმატებული სპეცოპერაცია. კერძოდ, გადაჩეხეს აღმოსავლეთ ფრონტისაკენ მიმავალი 4 ეშელონი. ააფეთქეს 23 ხიდი, მოშალეს სატელეფონო კავშირი. საბოოდ შუბითიძის რაზმმა ,,გაანადგურა 70-ზე მეტი ეშელონი და 50-მდე ფაშისტური გარნიზონი” (**სურგულაძე, 1995: 187**). ივანე შუბითიძე, მოგვიანებით, პოლონეთის მთავრობამ დააჯილდოვა „გრიუნვალდის ჯვრით.“

რაც შეეხება სიმონ ჩიქოვანს, რომელიც ცნობილი იყო „კაზაკ ქართველის „ სახელით სათავეში ედგა ლიუდოვას პარტიზანულ რაზმს. იგი 1942 წელს გაიქცა ნეპერჩოვის ტყვეთა ბანაკიდან. ,,კაზაკ ქართველის“ რაზმმა გაანთავისუფლა სოფელი მიკულინი. 1944 წელს შეუერთდა კოვპაკის დივიზიას.

სამწუხაროდ მეტი ინფორმაცია აღნიშნული რაზმის შესახებ არ მოგვეპოება. თუმც, ის კი ცნობილია, რომ აღნიშნულ რაზმში იბრძოდა ბათუმელი სულეიმან ხახვა. იგი, 1943 წელს დეკემბერში ჩამოშორდა რაზმს, რადგან ფაშისტებთან შეტაკების დროს მძიმედა დაიჭრა. ,,კაზიკის" შესახებ ის ამბობს: ,,საოცრად გამბედავი და მოუხელთებელი კაცი იყო. ლეგენდები დადიოდა მასზე" (**იქვე: 188**). ამავე პარტიზანულ რაზმში იბრძოდნენ, აგრეთვე სხვა ქართველებიც, ვინმე ვანო ტოპეშაშვილი, და ნიკოლოზ გორდეზიანი.

1942 წელს პოლონეთში ჩამოყალიბდა ე.წ ,,პეტრეს" რაზმი, რომელშიც თავდაპირველად 17 საბჭოელი ოფიცერი და ჯარისკაცი ერთიანდებოდა. ხელმძღვანელი იყო პეტრე ფინანსოვი. რაზმში იყო ორი ქართველი გორგი გადაშვილი და ვალერიან გეგიძე. სამწუხაროდ, წყაროები არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, უშუალოდ რა საბრძლო ოპერაციები განახორციელა აღნიშნულმა რაზმმა.

აღმოსავლეთ პოლონეთში ე.წ. ,,გლეხთა ბატალიონების" რაზმის შემადგენლობაში მოქმედებდა ქართველ მებრძოლთა ჯგუფი, სადაც 20-მდე მებრძოლი ერთიანდებოდა. ერთ-ერთი შალვა ბაბუნაშვილი დაუახლოვდა პოლონელ ცოლ-ქმარს. სწორედ, ამ ცოლ-ქმარის დახმარებით დაუკავშირდნენ პოლონელ პარეტიზანებს და ითხოვეს დახმარება ბანაკიდან გაქცევაში. პარტიზანები დათანხმდნენ და ,,გლეხთა ბატალიონების"ადგილობრივ ორგანიზაციასთან შეთანხმებით შეიმუშავეს გაქცევის გეგმა. საკმაოდ დიდი ორგანიზებულობით მოახერხეს თავის დაღწევა ტყვეთა ბანაკიდან და პარტიზანებს შეუერთდნენ. შემდეგ კი მათთან ერთად მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში. მაგალითად, თავს დაესხნენ სადგურ ვიგოდას. სადაც ააფეთქეს ეშელონი და სარკინიგზო მაგისტრალი, რითაც შეაფერხეს მატარებლების მიმოსვლა. აღნიშნულ პარტიზანთა რაზმი მონაწილეობდა დომეჩევის გერმანული გარნიზონის განადგურებაშიც. დაწვეს ტომანუვსკის გარეუბანში ფაშისტთა სამხედრო დაბა. დაარბიეს სასაზღვრო საგუშაგო და სხვ.

ყველა საბრძოლო ოპერაციების დროს ქართველები გამოირჩეოდნენ. ,,გლეხთა ბატალიონების" ხელმძღვანელობის დოკუმენტებში შალვა ბაბუნაშვილის შესახებ ნათქვამია,

რომ ,,საყოველთაო აღტაცებას გამოხატავდნენ ვერაგ ფაშისტ თავდამსხმელებთან ბრძოლაში მისი უდიდესი პატრიოტიზმისა და მამაცობის გამო... ქართველთა თავდადება პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მადლიერმა ხალხმა იმითაც აღნიშნა რომ, ამ ჯგუფის ზოგი მებრძოლი ლიუბლინის საპატიო მოქალაქეთ აირჩია" (**სურგულაძე, 1995: 191**).

ჟიველშეს საგუშაგოს განადგურების შემდეგ ქართველი მებრძოლეები ბრესტლის რაიონში შეუერთდნენ ივ. Lლენინის სახელობის საბჭოთა პარტიზანულ შენაერთს. ბრესტლისათვის გზის გაკაფვისას ბრძოლაში დაიღუპნენ: გიორგი საჯაია, სტეფანე ნოზაძე, შაქრო ღვთისიაშვილი. დაიჭრნენ: შალვა ბაბუნაშვილი, კარლო რამიშვილი და სხვ.

ლიუბლინშჩინაში, კერძოდ პარჩევის ტყის იმ ნაწილში, რომელიც ადმინისტრაციულად ვლოდავას რაიონში ერთიანდებოდა, იბრძოდა ადამ მიცკევიჩის სახელობის პოლონელი და საბჭოთა პარტიზანებისაგან გაერთიანებული რაზმი. მისი ორგანიზატორები იყვნენ თეოდორე კოვალოვი, და იან ხოლოდი. ამ რაზმში სხვა ეროვნების ხალხთან ერთად, ერთიანდებოდნენ ქართველებიც.

რაზმმა 1943 წელს ყველაძე მაშტაბური ბრძოლა გადაიხადა. გერმანელები გადმოსულან შეტევაზე. პარტიზანებმა უკან არ დაიხიეს და ჩაებნენ ბრძოლაში. მათ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს გერმანელებს. პარტიზანებმაც დიდი დანაკარგი განიცადეს დაიღუპა 10-ზე მეტი კაცი.

ამ რაზმის ,,მეზობლად" თითქმის მათთან ერთად ამოქმედდა პარტიზნული რაზმი, რომელშიც ძირითადად ქართველები იყვნენ გაერთიანებულნი.

1943 წელს ვლადიმერ ძნელაძე სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად გაიქცა კრუშოვის ტყვეთა ბანაკიდან. ჩამოყალიბდა რაზმი რომელის მთავარ ბირთვს ქართველები წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვლადიმერ ძნელაძე. რომელიც არ ზოგავდა თავს გერნანელების წინააღმდეგ ბ, იმდენად პოპუძოლების დროს. გერმანელმა ფაშსტებმა მის შესაპყრობად სპევციალური ჯილდოც კი დააწესეს თურმე.

„ა.ფეოდოროვის საბჭოთა პარტიზანულ შენაერთში ვ. ძნელაძე დაინიშნა ასეულის უფროსად, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. 1944 წელს იგი გადავიდა პოლკოვნიკ ნ. პროკოპიუკის პარტიზანულ ბრიგადაში, სადაც დაინიშნა დაზვერვის უფროსად. ნ. პროკოპიუკის ბრიგადა ემზადებოდა პოლონეთში რეიდისათვის. მას უნდა გაევლო პოლონეთი, გასულიყო გალიციაში და მიეღწია კარპატების ტყეში. ბრიგადამ დიდი ბრძოლა გადაიხადა 1944 წელს 9-25 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთში ვასილ ძნელაძის გამოჩენამ მოსახლეების აღტაცება გამოიწვია ისინი ამბობდენ, „შავი ვალოდია არ მომკვდარა“, „შავი ვალოდია ცოცხალია“.

იანოვის ტყეში პროლოპიუკის ბრიგადის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გაიმართა. ფაშისტებმა უდიდესი ძალა და ტექნიკა გამოიყენეს პარტიზანთა წინააღმდეგ. დიდი ბრძოლები გაიმართა ბრიგადის მარცხენა ფრთაზე სადაც იბრძოდა 30 ქართველი. მათგან სიკვდილს გადაურჩა მხოლოდ 2 ქართველი. ძნელაძის რაზმმა ოპერაცია წარმატებით ჩააატარა დაატყვევა გერმანელები და წამიღო ოთხი ქვემეხი.

1946 წელს დაბრუნდა თბილისში. პარტიზანულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, იგი, დაჯილდოეს წითელი დროშის ორდერით. გარდა ამისა მიღებული აქვს 7 მედალი და მრავალი სიგელი იგი აირჩიეს აგრეთვე ქ. პრეშევის საპატიო მოქალაქედ, პოლონეთში მასზე შეიქმნა დოკუმენთური ფილმი“ (**მაჭარაძე, 1975: 104).**

ქართველთა რაზმმა და მ. ვიტკოვისკის რაზმმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ განეხორციელებინათ ერთობრივი ოპერაცია. 1944 წლის 28 აგვისტოს პარჩევის ტყისაკენ მიმავლებმა მილიანოვ-ბეზვოლიას რკინიგზაზე რელსები გადახსნეს და გადაჩეხეს ეშელონი. გარდა ამისა შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში განახორციელეს არაერთი საბრძოლო ოპერაცია - არამხოლოდ რკინიგზის ხაზის მოშლა არამედ, მტერზე თავდახსმები. რითაც უდიდესი ზიანი მოუტენეს ფაშისტებს.

მ. ვიტკოვსკის ცნობით სოფელ პუევლეასთან ისინი თავს დაესხნენ გერმანელებს. ამ ოპერაციის დროს დაიჭრა ქართველი მებრძოი ლევანი. 1944 წლის 14 დეკემბერს

შეებრძოლენ 70 კაციან რაზმს და გაიამრჯვეს კიდეც ამ ბრძოლაში. დაიჭრნენ: დავითი, კარლო და გენო ჯაველიძე.

პარტიზანებმა აგრეთვე ფაშისტებისაგან გაანთავისუფლეს რამოდენიმე დასახლებული პუნქტი. ესენი იყო: ზაგაკი, ტისმენიაცა და სხვა.

მოსახლების დამოკიდებულება ქართველ მებრძოლთა მიმართ, უდიდესი პატივისცემით და ხელშეწყობით გამოიხატებოდა. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მაშინ როცა გერმანელები სასტიკად უსწორდებოდნენ ყველა იმ ადამიანს, რომელიც მცირეოდენ დახმარებას გაუწევდა პარტიზანებს. მიუხედავად ამისა ისინი თავიანთი სახლის კარებს დაუფიქრებლად უღებდნენ მათ. ერთ-ერთი პარტიზანი გენო ჯაველიძე არნიშნავდა: ,,როცა ღამით მივადგებოდით ვინმეს ოჯახს საკმარისი იყო გვეთქვა ქართველები ვართო და ციხე-სიმაგრესავით აღმართული სახლის კარები ერთბაშად გაიღებოდა" (**სურგულაძე, 1995: 194**). გარვოლიონთან ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა ქართველი პარტიზანი მიხეილ ცუცქირიძე. იგი სამკურნალოდ პოლონელი გლეხის ოჯახში გადაიყვანეს. გერმანელებმა მიაგნეს დაჭრილს და საჯაროდ დახვრიტეს. სიკვდილით დასაჯეს ამ გლეხის ოჯახის ყველა წევრი.

,,თბილისელი" ზედწოდებით ცნობილი ქართველი პარტიზანი (სამხედრო ექიმი) პოლონეთში ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა. ამ გმირის დაღუპვის სურათი ნათლად აქვს აღწერილი პროფესორ ი. ვილჩურას. იგი წერს: ,,გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, პარტიზანთა მდგომარეობა ყოველ წუთს უარესდებოდა. ჰიტლერელები იმყოფებოდნენ რაღაც 150 მეტრზე მთავარი განლაგებიდან, და თავს უვლიდნენ ფლანგებიდან. ვიტკოვსკიმ უკან დახევა გადაწყვიტა ვიტკოვსკიმ ყურადრება მიაპრყო იმას რომ მეტყვიამფქვევები დაიჭრნენ და არ შეეძლოთ ტყვიამფქვევებთან დარჩენა. მე წავალ გადაწყვიტა ექიმმა და არ მიაქცია ყურადრება მეათაურის პროტესტს. სწრაფად ნახტომით მიირბინა ტყვიამფქვევთან. დაჭრილებმა კი ძლივს მიაღწიეს რაზმს. თბილისელი წინა პოზიციაზე მარტო ისროდა ტყვიამფქვევებიდან. პარტიზანებმა დაიხიეს ტყის სიღრმეში. უცებ

მათ შეამჩნიეს რომ თბილისელი დადუმდა. რიჩარდ ხირა და ედმუნდ ნელვაჩინი წამოხტნენ, რომ მიერბინათ ამხანაგთან, მაგრამ ფაშისტები ახლოს იყვნენ იმ ადგილთან სადაც გაბედული პარტიზანი დაიღუპა. ვიტკოვტიმ აღიარა რომ რაზმს განადგურება ემუქრებოდა, რომ მის ბედს წყვეტდა თითოეული წამი. ჩაიკრა რა ტკივილი გულში, მან ბრძანა დაჭრილები წაეყვანათ და დაეხიათ უკან" (**იქვე: 195**).

1944 წლის 14 ივლისს მაშინ როცა ფაშისტები მაშტაბურ შეტევაზე გადმოვიდნენ, პარტიზანთა ძალები სუსტი აღმოჩნდა. მტერს ახალი ძალები შეჰყავდა ბრძოლის ველზე და ბრძოლას აახლებდა. პარტიზანებს მიეშველენ ვ. შანგინის, ს. ჩიჟოვის და ვ. კოვალიოვის რაზმები. Mმონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში აგრეთვე ნ. პროკოპიუკის ბრიგადის ქართველი პარტიზანებიც. ისინი მნიშვნელოვან ზონაში იბრძოდნენ. მათი ბრძოლისუნარიანობა აკვირვებდა არამხოლოდ თანამებრძოლეებს, არამედ, თვით გერმანელრბსაც კი. ქართველ პარტიზანებმა გაანადგურეს გერმანელთა რაზმი.

იანოვის ტყის ბრძოლაში ფაშისტებმა დიდი ზიანი განიცადეს. თუმცა, პარტიზანთა დანაკარგიც არ იყო ცოტა. ამ ბრძოლაში დაიღუპა 30-მდე ქართველი. ესენი იყვნენ: გიორგი მახარობლიშვილი, მეთოდე ადეიშვილი, ლევან ნემსაძე, ერმილე მიქიაშვილი, ექიმი დავით ხუბრაშვილი, იოსებ ჩომახიძე, სპირიდონ ხვედელიძე. ვარლამ თოფურია, ვლადიმერ ფერაძე, ვლადიმერ შარიქაძე და სხვ.

პოლონეთის მთავრობამ ორდენებით და მედლებით დააჯილდოვა ისინი.

კოვპაკის რაზმში იბრძოდა ვინმე ვანო რეხვიაშვილი. იგი ყოფილა შეუპოვარი მებრძოლი. 1942 წელს თებერვალში მან სამჯერ შეაჩერა გერმანელთა შემოტევა, იგი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა მიზნის მისაღწევად და თავისი მოვალების ღირსეულად ასრულებდა.

„ქართველი პარტიზანი ყველს უყვარდა და ახსოვდა როგორც სიმამცის და გმირობის სიმბოლო. მხატვრებიც კი არ დარჩენილან ვალში გმირი პარტიზანის მიმართ. უკრაინელ მხატვარს სწორედ ვესიოლოესათვის ბრძოლის ეპიზოდის დახატვა შეურჩევია. ტაჩანკაში

მჯდომი პარტიზანი ვანო რეხვიაშვილი თავისი ტყვიამფქვევით ცელავს მტრის ჯარს“ **(რეხვიაშვილი, 1975: 111).**

ქართველი პარტიზანები მონაწილეობდნენ ვარშავის აჯანყებაში 1944 წელს. სამწუხაროდ ეს აჯანყება, წყაროებში დეტალურად არ არის აღწერილი.

ჟურნალისტმა ლ. ხუბულურმა ამ აჯანყების ერთ ერთი მონაწილე, პოლონელ მფრინავ-ოფიცრის გორელი არკადი სხირტლაძის, 16 წლის ქალიშვილის ირინე სხირტლაძის შესახებ სტატია დაწერა. ირკვევა, რომ იგი დაწყებისთანავე შეერთებია აჯანყებულებს. გამოირჩეოდა სიმამაცითა და გაბედულობით. არაერთ შეტაკებაში გამოუჩენია თავი. 1944 წლის 14 სექტემბერს მან არ მიატოვა დაჭრილი პოლონელი პორუჩიკი და ,,გააფთრებული ცეცხლის მიუხედავად ცდილობდა ბრძოლის ველიდან გაყვანას.” მტერს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ცეცხლი გაუხსნა. რის შედეგადაც ორივე ადგილძე დაიღუპა. იგი დააჯილდოეს ,,მამაცობის ჯვრით”. დაკრძალულია ე.წ. ,,პოვონსკის“ სასაფლაოზე, გამოჩენილი მოღვაწეებისა და ომის გმირების გვერდით.

ქართველი პარტიზანების მონაწილეობაზე ვარშავის აჯანყებაში, საუბრობენ პოლონელი ისტორიკოსები. ისინი მოიხსენიებენ ,,ტყვეობიდან გაქცეულ უფროს ლეიტენატს ეროვნებით ქართველს.” თბილისელ ისტორიის მასწავლებელს. აგრეთვე ცნობილ მეცნიერს, არქიმენდრიტ გრიგოლ ფერაძეს, რომელიც გერმანელებმა დახვრიტეს.

შეუძლებელია არ აღინიშნოს პარტიზანული რაზმის ცნობილი რეიდი პოლონეთში. სადაც, ქართველებიც მონაწილეობდნენ. აქ მებრძოლმა ქართველებმა, ,,სხვა მებრძოლთა მხარდამხარ თავიანთ ზურგზე გადაატანეს ლაშქრობის სირთულენი.” აქტიურად დადიოდნენ დაზვერვებზე, სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას. სწორედ ამიტომაც მკერდამშვენებული დაუბრუნდნენ სამშობლოსა და ოჯახებს.

პოლონეთში მებრძოლ პარტიზანებთაგან აღსანიშნავია დავით ბაქრაძე, რომლიც განსაკუთრებული თვისებებით იყო შემკული. ის თითქმის არასოდეს არ უშინდებოდა სიძნელეებს.

„კოვპაკის სახელობის პარტიზანულ დივიზიაში ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა ჩვენი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე. მან პარტიზანულ რაზმში მოღვაწეობა დაიწყო როგორც რიგით მებრძოლომა მაგრამ ოპერაციების სანიმუშოდ შესრულებისათვის იგი დააწინაურეს ასეულის მეთაურად და აგრეთვე დააჯილდოებს ლენინის ორდენით. ცოტა ხნის შემდეგ კი დაინიშნა პოლკის მეთაურად. კოვპაკის დივიზიაში გარდა დავითისა იყვნენ აგრეთვე სხვა ქართველები. ესენი იყვნენ : ვ. რეხვიაშვილი, ი. ჟორჟოლიანი და სხვები“ (**კუპატაძე, 1982: 61**).

დავით ბაქრაძე განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ,,დომბროვიცის” ბრძოლაში. ა მ ბრძოლაში გერმანელებმა შეუტიეს პარტიზანებს. გერმანელებს იერიში მიჰქონდათ დივიზიის შტაბზე. ამ დროს დავით ბაქრაძის საზრიანობამ შეძლო გერმანელთა შეჩერება და ველიდან შტაბისა და პოლკების გაყვანა, რომელიც პარტიზანებს ეკუთნოდათ.

,,ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და პოლონეთის რეიდის წარმატებით დაგვირგვინებაში დამსახურებისათვის, დავით ბაქრაძეს მიენიჭა გმირის საპატიო წოდება. მოგვიანბეით პოლონეთის მთავრობამ მასვე გადასცა უმაღლესი ორდენი “ვილტუტი მილიტარის” ოქროს ჯვარი, ქვეყნის განთავისუფლებაში პირადად დიდი ღვაწლისათვის” (**სურგულაძე, 1995: 206**).

თავი V. ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში

,,ქართველების აჯანყება ტექსელზე

უნიკალური გმირობაა სამხედრო

ხელოვნების ისტორიაში...”

ივან ტიულენევი

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ეს შეფასება ცხადყოფს ქართველთა წვლილს კუნძულ ტექსელზე მომხდარ აჯანყებაში. მათ აქაც არ უღალატეს თავიანთ პრინციპებს და გამოამჟღავნეს უდიდესი სიმამაცე, ამტანობა და ბრძოლისუნარიანობა.

ჰოლანდიის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომის დროს იყვნენ ისეთი ქართველები, რომლებიც იძულებული იყვნენ ეტარებინათ გერმანული ფორმა და ებრძოლათ გერმანელების მხარეს. თუმც, ისინი გულის სიღრმეში განიცდიდნენ იმ პატრიოტულ სულისკვეთებას რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია და ელოდნენ აჯანყებისათვის ხელსაყრელ მომენტს. თავდაპირველად გერმანელები ერიდებოდნენ ტყვეების გამოყენებას საბრძოლო ოპერაციებში, რათა გადამწყვეტ მომენტში არ ეღალატათ მათ. მაგრამ, ისე იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ წარმატებაში, რომ ამასაც აღარ აქცევდნენ ყურადღებას.

„საგარეო საქმეთა სამინისტროს დაზვერვის განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ ლახუზენის ხემოწერილ დოკუმენტში ნათქვამია: სამხედრო-საველე შტაბს პირველი ოპერატიული განყოფილებისაგან მიღებული მითითების შესაბამისად, რომ... ევალება შექმნას ორგანიზაცია „თამარი“ რომელსაც ეკისრება შემდეგი ამოცანები:

1. ქართველთა ძალებით მოამზადოს აჯანყება საქართველოს ტერიტორიაზე.
2. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაეკისროს ობერლეიტენანტ დოქტორ კრამერს...

3. ორგანიზაცია იყოფა ორ ოპერატიულ ჯგუფად: ა) „თამარ I “ -იგი შედგება 16 ქართველისაგან რომლებიც მომზადებულია საბოტაჟისათვის და გაერთიანებულია უჯრედებში... „თამარ II” წარმოადგენს ოპერატიულ ჯგუფს რომელიც შედგება უჯრედებში გაერთიანებული 80 ქართველისაგან ...
4. ორივე ოპერატიული ჯგუფი ,,თამარ I” და ” თამარ II” ექვემდებარება მთავარსარდლობას.
5. ,,თამარ I” ოპერატიული ჯგუფის შესაკრებ პუნქტად შერჩეულია ქალაქი იასის მიდამოები. ,,თამარ II“ ოპრატიული ჯგუფის შესაკრები პუნქტია სამკუთხედი ბრაილოვი-კარალასი-ბუქარესტი.
6. ორგანიზაცია „თამარს“ შეიარაღებს კონტრდაზვერვა II-ის განყოფილება“ (**სურგულაძე, 1995: 210-211).**

გერმანლებმა ქართველები ჩაიყვენეს (სწორია) სამუშაოდ, როგორც ყოველთვის აქაც ხმა გაავრცელეს კაციჭამიები არიანო, თუმცა სიმართლეს მალე აეხადა ფარდა.

სწორედ ეს ბატალიონი გახლდათ, რომლემაც კუნძულზე მოაწყო აჯანყება. ისინი დაუკავშირდნენ ადგილობრივ პარტიზანებს და შესთავაზეს გერმანიის წინააღმდეგ ერთად მოქმედება. თავდაპირველად პარტიზანები ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ ყველაფერს თუმცა შემდეგ მიიღეს მათი შემოთავაზება. ამ თანხმობის შემდეგ უფრო გაიშალა არალეგარული საქმიანობა ქართულ ბატალიონში. ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი. ბატალიონის მეთაურად დაინიშნა ყოფილი მფრინავი შალვა ლოლაძე. კომისრად კი, სერგო გუჯაბიძე. მეათაურის მოადგილედ - ნოე გონგლაძე. ამრიგად, ქართველები ადგილობრივ პარტიზანებთან ერთად გეგმავდნენ აჯანყებას.

„კაპიტანი შ.ლოლაძე ენერგიულად მუშაობდა. მან კარგად დააყენა სამხედრო საქმე ბატალიონში. ამასთანავე შეაგროვა ზუსტი ცნობები ზღვის სანაპიროს სიმაგრეების დანაღმული მიდამოებისა და სხვა სამხედრო მნიშვნელობის ობიექტების შესახებ. შეადგინა სათანადო რუკები და სქემები. ამ საიდუმლო სამხედრო ცნობების ასლები შ. ლოლაძემ

დაუყოვნებლივ გაუგზავნა ჰოლანდიის წინააღმდეგობის საბჭოსა და ქ. ჰარმელის პარტრაიკომის მდივანს ანი კლაინს“ (**ქოჩიაშვილი, 1948: 30).**

პარტიზანებმა კი შეუთვალეს, რომ დალოდებოდნენ მათ ნიშანს და თვითნებურად არაფერი მოემოქმედათ. ამ საკითხზე არავისთან ესაუბრათ. ინგლისელებისაგან გაწბილებულმა ვერმახტის 822-ე ქართულმა ბატალიონმა ანალოგიური წინადადებით მიმართა ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის მესვეურებს. მათ აჯანყების დაწყება სთხოვეს. პარტიზანებმა კი ურჩიეს მოეცადათ ხელსაყრელ დრომდე. მოსთხოვეს აგრეთვე შეეკავშირებინათ რუსი, ჰოლანდიელი ქართველი და თათარი ჯარისკაცები. ვისაც სურდა ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის მოკავშირედ ყოფნა. ასევე სთხოვდნენ დაწვრილებით ინფორმაციას დანაღმული სანაპირო ზოლის შესახებ. ამის რუკაზე გადატანას. ბატალიონში შეიქმნა ე.წ გამნაღმველი ჯგუფი, რომელმაც განაღმა ზღვის დიუნები. რაც იყო ფასდაუდებელი სამსახური მოკავშირეებისათვის.

1944 წელს ქართველებმა კვლავ დააყენეს წინააღმდეგობის მოძრაობის საბჭოს წინაშე აჯანყების საკითხი. ამას დაემატა საბჭოთა ჯარების შესვლა ჰოლანდიაში და დაიწყო გერმანელების ზურგის მოშლა. დასავლეთ ფრონტზეც წარმატებები ჰქონდათ მოკავშირეებს. ამ ყველაფრის მიუხედავად წინააღმდეგობის საბჭომ უარი განაცხადა აჯანყებაზე, აი მათი ბრძანებაც:

,,ჩვენ არ ვართ მომხრე დაიწყოთ მოძრაობა, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ ეთანხმებიან გაერთიანებული ერები ამერიკა და ინგლისი. ჩვენ მტრის საბრძოლო შემუსხვრისათვის მზადების პერიოდში ვიმყოფებით. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები რომლებსაც ჩვენთან ერთდ სურთ ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ ისე უნდა მოიქცნენ როგორც ეს საჭირო და სასარგებლოა” (**სურგულაძე, 1995: 220).**

1945 წლის 6 თებერვალს ქართული ბატალიონი კუნძულ ტექსელზე გადაიყვანეს. ისე, რომ გერმანელებს ეჭვიც არ გასჩენიათ.Bქართულ ბატალიონს ძალიან უჭირდა დაკავშირება წინააააღმდეგობის მოძრაობას. ამის მიუხედავად მათ მაინც მოახერხეს ინფორმაციის

მიწოდება, რომ ზანდფორტში მხოლოდ გერმანელები დარჩნენ. პარტიზანებმა კი ,,ქართველების წასვლის შემდეგ ის ადგილები დაბომბეს.”

5 აპრილს ტექსელის კომენდანტმა გასცა ბრძანება ქართული ბატალიონის მომზადებისა. შ. ლოლაძემ ეს ყველაფერი საეჭვოდ მიიჩნია და ვალდეაფის ტყეში, მაშინვე მოიწვია საბჭოს სხდომა. მეთაურის ვარაუდით ქართველთა ბატალიონის გადასროლას დასავლეთ ფრონტზე აპირებდნენ მოკავშირეების წინააღმდეგ. სხდომაზე ერთხმად გადაწყვიტეს აჯანყების დაუყონებლივ დაწყება. იმავე სხდომაზე კარგად ორგანიზებულად განაწილდა ფუნქციები. თვითონ შ. ლოლაძემ იკისრა სოფელ დე კოოჰის რაიონში განლაგებული საცეცხლე წერტილების განადგურება და ოუდე სხილდის ნავსაყუდელის დაკავება. დაიგეგმა კონკრეტული თარიღი აჯანყების დაწყებისა. Eეს იყო 6 აპრილის დილის 1 საათი.

აჯანყების დღეს კუნძულზე იმყოფებოდა 749 ქართველი და 1800-მდე გერმანელი. ძალები აშკარად არათანაბარი იყო. თუმცა, ქართველებმა იმდენად კარგად და ორგანიზებულად დაგეგმეს აჯანყება, რომ თვით მეთვალყურე გერმანელებსაც არაფერი გაუგიათ. ,, ყოველმა ქართველმა ზუსტად იცოდა, რომელი გერმანელი უნდა ამოეღო მიზანში“ (**სურგულაძე, 1995: 222).** დღის 1 საათზე იფეთქა უეცარმა აჯანყებამ, რომელიც მოულოდნელი, დამაბნეველი და თავზარდამცემი აღმოჩნდა გერმანელებისათვის. აჯანყების პირველ ეტაპზე ქართველებმა გაანთავისუფლეს, სოფელი ტექსლა სადაც დაიჭრა 4 ქართველი.

ტექსელზე აჯანყებამ ქართულ ბატალიონის 750 მებრძოლიდან 500- ზე მეტი კაცი იმსხვერპლა. გარდა ამისა შურისძიების მიზნით ჰოლანდიის კონტინეტზე კრომენიაში 12 ქართველი დახვრიტეს. ხოლო გერმანელებმა 2500-მდე მებრძოლი დაკარგეს.

სამშობლოში გამომგზავრების წინ ბატალიონის მებრძოლებმა ადგილობრივი მცხოვრებლების მხურვალე დახმარებით შეკრიბეს დაღუპული ქართველ მეომართა

გვამები. დაკრძალეს ძმათა სასაფრალოზე და სახელდახელო ძეგლი აუგეს მას. ძეგლის ცენტრში შ, ლოლაძის პორტრეტი მოათავსეს (**ქოჩიაშვილი, 1948: 61**).

რუსულ, ქართულ და ჰოლანდურ ენაზე ძეგლს გაუკეთეს წარწერა: „აქ განისვენებს მამაცი მხედარი საბჭოთა კაპიტანი შალვა ლოლაძე და მისი თანამებრძოლები. სახელოვანი ქართული ბატალიონიდან, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის გერმანელი დამპრყობლების წინააღმდეგ - კუნძულ ტექსელზე 1945 წლის 6 აპრილიდან 1945 წლის 18 მაისამდე.

ჩვენ გადარჩენილი ქართველები სამუდამოდ შევინახავთ გულში ბრძოლაში მამაცურად დაღუპული მეგობრების ხსოვნას“ (**იქვე: 61-63**).

სოფელ დე კოოხისათვის ბრძოლა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ქართველებმა დიდი ბრძოლის შედეგად აიღეს სოფელი და დახოცეს გერმანელები. ,,ფაშისტებმა სამჯერ შეუტიეს ქართველებს” თუმცა უშედეგოდ. შემდეგ მათ მოუვიდათ დამხმარე ძალა. ამჯერად უკვე ქართველებმა ვეღარ შეაკავეს მტერი და დატოვეს პოზიციები. გასვლისას ქართველებმა დანაღმულ ველზე ღობეები მოანგრიეს. გერმანელებს ეჭვიც არ შეუტანიათ თუ რაში იყო საქმე და როგორც კი ფეხი შედგეს ამ ველზე ნაღმი აფეთქდა. ყველა გერმანელი დაიღუპა. ხოლო 20-მდე ქართველი დაიღუპა დე კოოხისათვს ბრძოლაში.

მიუხედავ იმისა, რომ ქართველი მებრძოლები ვერ გადავიდნენ პარტიზანთა რიგებში. ისინი არ შეეგუენ გერმანელთა უსამართლობას. მიუხედავად იმ საფრთხისა, რომელიც ემუქრებოდათ გერმანელებისაგან და ტყვია-წამლის ნაკლებობისა. ქართველთა სიმამაცე და გაბედული ნაბიჯი უცხო არ იყო გერმანელებისათვის. გერმანელებმა სასტიკად გააფრთხილეს მოსახლეობა, რომ არანაირი დახმარებ არ გაეწიათ ქართველებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სამაგალითოდ დაისჯებოდნენ. მიუხედავად ასეთი მუქარისა მოსახლეობა მაინც არ უშინდებოდა ფაშისტთა რისხვას. ქართველ მებრძოლეებს აძლევდა თავშესაფარს და უწევდა მატერიალურ დახმარებას.

1944 წლის 14 აპრილს მოხდა შეტაკება ფაშისტებსა და ქართველებს შორის. ძალები არათანაბარი იყო. გერმანელებმა ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს. ტყვედ ჩაიგდეს 40 ქართველი, რომლებიც მძიმედ იყვნენ დაჭრილნი და ტყვიამფქვევებით დახვრიტეს (განსაკუთრებული სისასტიკით სჯიდნენ ქართველ მებრძოლეებს გერმანელები). 14 აპრილს, დეკოკსტროფის მახლობლად, ქართველებსა და ფაშისტებს შორის მოხდა კიდევ ერთი შეტაკება. ქართველთა ოცეულს ხელმძღვანელობდა ვარლამ შეყრილაძე, რომელმაც უდიდესი გმირობის მაგალითი უჩვენა თანამებრძოლეებს. მან 5 ხელყუმბარა ერთად შეკრა და მიწაზე ხოხვით მივიდა იმ სახლამდე სადაც გერმანელები იყვნენ და ააფეთქა ისინი. ვარლამი საბოლოოდ გერმანელებმა დახვრიტეს. მისმა ასეთმა თავგანწირამ აღაფრთოვანა თანამებრძოლეები.

მოსახლეობის დამოკიდებულება ქართველთა მიმართ განსაკუთრებულ იყო. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ დახმარებას. მიუხედავად მუქარისა ისინი დაჭრილებს იფარებდნენ და უვლინდნე კიდეც. იყო შემთხვევები, როცა აბსოლიტურად მოულოდნელად გადაეყრებოდნენ ფაშისტებს ქართველები. აი მაგალითად შალვა ასათიანი და შალვა წილოსანი პირდაპირ შეეჩეხნენ ფაშისტებს, ფაშისტებმა ისინი ტყვედ აიყვანეს. მაგრამ, სანამ მათ მოკლავდნენ ყურადღება მიიპრყო ქართველთა მაჯის საათმა. დახარბდნენ გერმანელები და როცა შეხსნა მოინდომეს ამ დროს ქართველებმა ქურთუკიდან ,,ელვის სისწრაფით" ამოიღეს იარააღი და გერმანელები დახოცეს. ,,მსგავს სიტუაციაში გერმანელებმა დაატყვევეს: კირილე რაზმაძე, ტიტე ლომაძე, დავით კობახიძე, მაგრამ ისინი სასწაულებრივ გადაურჩნენ დახვრეტას.Mმოულოდნელად გამოჩნდა შუახეველი შოთა ფუტკარაძე რომელმაც ,,ძლიერი ცეცხლით აიძულა ფაშისტები მიეტოვებინათ ტყვეები და გაქცეულუყვნენ" (**სურგულაძე, 1995: 233**).

ჰოლანდიურ გაზეთი ,,დე ვარჰაიდი" წერდა, რომ ამ ბატალიონის აჯანყებამ ხელი შეუწყო ჰოლანდიის ,,სამი პროვინციის გადარჩენას შიმშილისა და სიკვდილისაგან".

ქართველმა მებრძოლებმა ჰოლანდიელ პარტიზანებთან ერთად პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი მსოფლიოს წინაშე. მსოფლიოს აჩვენეს, რომ ისინი არ შეეგუებიან უსამართლობას და სისასტიკეს. თავისი პრინციპების დასაცავად საკუთარ სიცოცხლესაც კი არ დაიშურებენ. მათ, ამის არაერთი მაგალითი აჩვენეს. გარდა ამისა მომავალ თაობას დაუტოვეს ნათელი კვალი და სიამაყის განცდა.

დასკვნა

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების მომენტისათვის ათასობით ქართველი სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. მათ დაემატენ ომის პირველ ხანებში მობილიზაციით ფრონტზე გაწვეულები. ასე რომ 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ათეულ ათასობით ქართველი მონაწილეობდა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ დაიწყო ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა. 1942 წლის დამლევამდე შეიქმნა 3 ქართული დივიზია. რომლებმაც მძიმე ბრძოლები გადაიტანეს ყირიმის ნახევარკუნძულზე, კავკასიის დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლებში და ომის სხვა ფრონტებზე. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში განსაკუთეებით გამოიჩინა თავი არმიის სარდალმა გენერალმა კონსტანტინე ლესელიძემ. მასთან ერთად ომის წლებში სახელი გაითქვეს გენერლებმა ვლადიმერ ნანეიშვილმა, პორფირე ჩანჩიბაძემ, ერმალოზ კობერიძემ და მრავალმა სხვამ.

ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდმა ნაწილმა სახელი გაითქვა მოსკოვისა (1941-1942 წწ.) და ლენინგრადის დაცვაში (1941-1943 წწ.). მათ სახელი გაითქვეს

აგრეთვე სტალინგრადთან (1942 წ.) და კურსკთან (1943 წ.) გამართულ ბრძოლებში, აგრეთვე გერმანიის მიერ ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიის განთავისუფლებაში (1943-1944 წწ.), გერმანიის საბოლოო დამარცხებისათვის წარმოებულ ბრძოლებში (1944-1945 წწ.), და ბოლოს, ბერლინის ოპერაციაში (1945 წლის აპრილ-მაისი). აღსანიშნავია, რომ ბერლინის აღების დროს გერმანიის რაიხსტაგის (პარლამენტის) შენობაზე საბჭოთა წითელი დროშა აღმართეს რუსმა ეგოროვმა და ქართველმა მიხეილ ქანთარიამ.

1941 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, გერმანიის წარმატებული შეტევის პერიოდში, საბჭოთა არმიის ერთი ნაწილი ალყაში მოხდა. ჯარისკაცები და ოფიცრები, რომელთაც თავი ვერ დააღწიეს ალყას, პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც.

ალყაში მოხვედრილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. სხვადასვა დროს საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელთა მიერ შექმნილი ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეულებმა ასევე შექმნეს პარტიზანული რაზმები. ამ რაზმებშიც დიდი რაოდენობით იყვნენ ქართველები. საბოლოო ჯამში, 1942-1944 წლებში უკრაინის, ბელორუსიის და რუსეთის მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე ბევრი ქართველი პარტიზანი აღმოჩნდა. უკრაინაში წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლებში სახელი გაითქვა დავით ბაქრაძემ, ბელორუსიაში - ივანე შუბითიძემ და ვლადიმერ თალაკვაძემ.

ქართველი მებრძოლების ნაწილი ევროპის ტერიტორიაზე (იტალიის, საფრანგეთის, ბალკანეთის, პოლონეთისა და ჰოლანდიის) არსებულ ტყვეთა ბანაკებიდან გაიქცა და ჩაება ევროპის ქვეყნებში დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში. უდიდესი დამსახურება მიუძღვით მათ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლებში.

იტალიაში თავი ისახელეს შემდეგმა ქართველმა პარტიზანებმა: ფორე მოსულიშვილმა, ნოე კუბლაშვილმა, კოტე ლეჟავამ და მრავალმა სხვამ. ფორე მოსულიშვილი იტალიის ეროვნული გმირიც კი გახდა. საფრანგეთის წინააღმდწეგობის მოძრაობაში - ოთარ იშხნელმა, ნიკოლოზ ტაბაღუამ, სტეფანე ხატიაშვილმა და სხვებმა.

პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში თავი ისახელეს: ვლადიმერ ძნელაძემ, შალვა კობიაშვილმა და სხვებმა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის (1941-1945 წწ.) შედეგები ძალზე მძიმე იყო საქართველოსათვის. 1941 წლის ივნისიდან ფრონტზე გაიწვიეს დაახლოებით 700 000 კაცი. ფრონტზე გაწვეულთა დაახლოებით ნახევარი დაიღუპა. მრავალი კი დაინვალიდდა. ომმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ადამიანთა ფსიქიკას.

ომის წლებსა და მომდევნო ხანებში საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია ქართველთა საზიანოდ შეიცვალა. მოსახლეობის კლება ძირითადად ქართველების ხარჯზე მოხდა. ამას დაემატა ისიც, რომ საქართველოში გაიზარდა არაქართული მოსახლეობის რაოდენობა. ომის წლებში საქართველოში საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან გადმოყვანილი ლტოვლილების ნაწილი აქვე დარჩა მუდმივ საცხოვრებლად.

ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში ასევე მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ სამხედრო სამსახურიდან დემობილიზირებულები, რომელთა შორის ძირითადად იყვნენ რუსები და უკრაინელები. ომში დაღუპულთა აბსოლიტური უმრავლესობა 18 წლიდან 45 წლამდე ასაკის მამაკაცი გახლდათ. ამან კი თავისთავად გაართულა დემოგრაფიული სიტუაცია.

დიდად დაზარალდა ქვეყნის ეკონომიკა, რადგანაც ომის წლებში დიდი მასშტაბებით მიმდინარეობდა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის ექსპლუატაცია. ქვეყანაში იმატა სამხედრო სამრეწველო დანიშნულების ქარხნებმა და საწარმოებმა. ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო ძლიერად მიაჯაჭვა რუსეთის ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ალაზნისპირელი შ.,** იტალიის ქართველი ეროვნული გმირები, 2013
2. **ბაქრაძე დ.,** ლეგენდალური რეიდი, 1968
3. **ბერიძე გ.,,** იტალიის გმირი-უკანსკნელი ქართველი პარტიზანი, გაზეთი „ყველა სიახლე“, 2011
4. **ბოჭკოვა-ხვიჩია ლ.,** ალექსანდრე კალანდაძე, საფრანგეთში ანტიფაშისტური მოძრაობის მაკიზარი, „ანეული“, 2016
5. **გურული ვ., მაჭარაძე ვ.,** ქართველი და პოლონელი პარტიზანების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, ჩარნი ვალოდია, ჟურნალი“ცისკარი“ 1975. №5
6. **გურული ვ., მაჭარაძე ვ.**, ვასკა გრუზინი, ჟრნალი „ცისკარი“ 1975 . №5
7. **კონცელიძე მ.,** ნარკვევები სამხედრო ურთიერთობის ისტორიიდან, 2013
8. **სურგულაძე აბ.,** სამშობლოდან დაშორებით, 1975
9. **სურგულაძე აბ.,** ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური, წინააღმდეგობის მოძრაობაში (1939-1945) წლები, 1995
10. **სურგულაძე აბ,** აჭარის წარგზავნილები ევროპის ხალხთა წინააღმდეგობის მოძრაობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ, 4, 1921-1900, ბათ, 2012
11. **ზაალიშვილი მ.,** საფრანგეთის ეროვნული გმირი რომელიც ყველამ დაივიწყა, ჟურნალი „საქართველო მსოფლიო“ 2018
12. **იური ბ.,** უხილავი ფრონტი, 1967
13. **კობიაშვილი შ.,** პარტიზანული გზებით, 1975
14. **კუპატაძე ე.,** საბჟოთა კავშირის ხალხთა თანამეგობრობის ისტორიიდან, 1982
15. **ლაბაძე მ.,** დიმიტრი და კონსტანრინე ამილახვრები მეორე მსოფლიო ომის

დროინდელი სევდიანი ამბავი, 2014

16. **პაპაკირი ლ.,** ქართველი გმირების კვალი მეორე მსოფლიო ომში, 2017

17. **რეხვიაშვილი ს.,** უკრაინელ პარტიზანთა მხარდამხარ,ჟურნ. „ცისკარი“, 1975 №5

18. **სიხარულიძე ე.,** იტალიის ეროვნული გმირი, 1973

19. **ტორეზი მ.,** ხალხის შვილი, 1954

20. **ქოჩიაშვილი მ.,** ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში, 1948

21. **შურღაია ბ.,** ქართვეები იტალიის მთებში, 1971

22. **ჩინჩალაკაშვილი ტ.,** ქედუხრელნი, ჟურნალი „ ცისკარი“, 1981. №8

23. **ხუბულიური ლ.,** „კაპიტანი მონტი“, 1979

24. **ჯანელიძე ო.,** მეორე მსოფლიო ომი, ქართული გამოცდილება, 2017